ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 13 – 14 იანვარი, 2018 | №10 (7555) | ფასი: 50 თეთრი

## თბილისში მამაკაცმა ყოფილი მეუღლე და მისი მეგობარი სასიკვდილოდ დაჭრა — ქალს 14 ჭრილობა აქვს მიყენებული

თბილისში მამაკაცმა ყოფილი მეუღლე და მისი მეგობარი დაჭრა.

ახალგაზრდა ქალს 14 ჭრილობა მუცლისა და საზარდულის არეში ცივი იარაღით აქვს მიყენებული, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

გავრცელებული ინფორმაციით, კრიტიკულია მეგობარი მამაკაცის მდგომარეობაც.




9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

**ქალი ჩანთაში**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# „საქართველოში ისლამური სახელმწიფოს ბევრი მხარდამჭერი ცხოვრობს, ყველაზე ნაკლებად — პანკისის ხეობაში“



გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „აგვიხსნას მარგველაშვილმა, რატომ მიანიჭა 3.000 კაცს საქართველოს მოქალაქეობა“



## ზურაბ ჯაფარიძე: „საპარლამენტო უმრავლესობა ემორჩილება პატრიარქს“



გვ.4

რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „მარიხუანა“

## რამაზ საყვარელიძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევისას სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდება“



გვ.2

## დავით ნემსაძე: „ფრთხილად, შეიძლება თქვენს ტელეფონში „შპიონია“!



გვ.5

## გელა ნიკოლაიშვილი: „კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკომანების მკურნალობა და არა მათი ციხეში გაშვება“



გვ.2

## „თბილისის მერიაში შრომის ანაზღაურება არ გაზრდილა და არც 2018 წელს გაიზრდება“



გვ.5

## ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის ზრდის საფრთხეა



გვ.4

სირიაში სხვა ტერორისტული დაჯგუფებებიც მოქმედებენ

**ეკონომიკა** გვ.6

## ვასო ურუშაძე: „ტვირთბრუნვა კიდევ უფრო შემცირდება“



ზედმეტად გადახდილი დღგ-ს გამარტივებულად დაბრუნება ორშაბათიდან დაიწყება



## 2017 წელს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 33%-ით გაიზარდა



ISSN 1987-9385

5 ირაკლი კობახიძე: „პარლამენტი შსს-თან ითანამშრომლებს“

3 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშით საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანათა ჯგუფშია

4 ზურაბ ალავიძე: „ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა“

5 2017 წელს რძის პროდუქტების მწარმოებელი 56 კომპანია დაჯარიმდა

# რამაზ საყვარელიძე: „ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევისას სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ ის არ გამორიცხავს საპრეზიდენტო და შემდეგ უკვე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ბოლო პირდაპირი არჩევნებია. რამდენად არის მოსალოდნელი სიურპრიზები, მოულოდნელი კანდიდატები?***

— არაფერი არ არის გამორიცხული, ალბათ სიურპრიზებიც იქნება სწორედ იმის გათვალისწინებით, რაზეც თქვენ ყურადღება გაამახვილეთ — ბოლო პირდაპირი არჩევნებია. კონსტიტუციის მიხედვით, წმინდა საპარლამენტო მოდელზე გადავდივართ, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი არ არის პოლიტიკის წარმმართველი და განმსაზღვრელი. პრეზიდენტი უფრო ცერემონიული დატვირთვის ხდება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ამ ტიპის არჩევნებში საკმაოდ მაღალია ალეკო ელისაშვილის შანსები. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ელისაშვილს ჰყავს ამომრჩეველი, რომელიც არ არის არცერთი პარტიის და არცერთი სხვა კანდიდატის მომხრე. ის მხოლოდ ელისაშვილს უჭერს მხარს და ამ არჩევანში ორჭოფობა არ იგრძნობა. ეს კარგად გამოჩნდა თბილისის მერის არჩევნებში.

***— თუმცა, ამ არჩევნების სპეციფიკა ხომ განსხვავებულია?***

— კი ბატონო, სრულიად განსხვავებულია, მაგრამ ვინ არის ელისაშვილის ამომრჩეველი? ელექტორატი, რომელიც ხელისუფლებაზე გაბრაზებულია და ოპოზიციისკენ საერთოდ არ იყურება. ამ ამომრჩევლისთვის ელისაშვილი ზეპარტიული კანდიდატია, რომელიც წვრილმან პოლიტიკაზე მაღლა დგას. შესაბამისად, ამ ამომრჩევლისთვის ალეკო ელისაშვილი ყველა პოსტზე მისაღებია. ბევრი ნიშანია საიმისოდ, რომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში მას უფრო მეტმა ადამიანმა გამოუცხადოს ნდობა, თუნდაც თბილისის მერის არჩევნებზე გამოუცხადა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ელისაშვილის განაცხადი არ არის უპერსპექტივო.



***— სახელისუფლებო კანდიდატი ვინ იქნება, ამას არ ექნება მნიშვნელობა?***

— როგორ არ ექნება, რა თქმა უნდა, ექნება. მე იმას კი არ ვამბობ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ელისაშვილი გაიმარჯვებს, მე ვამბობ, რომ სერიოზული ორთაბრძოლა იქნება. მე მგონი, არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ელისაშვილი არ არის ძლიერი კანდიდატი.

***— არ არის გამორიცხული, რომ მარგველაშვილმაც მეორე ვადით იყაროს კენჭი. მისი შანსები როგორია?***

— მარგველაშვილის განაცხადში, რომ ის არ გამორიცხავს, მეორე ვადით იყაროს კენჭი, არაფერია მოულოდნელი. პირიქით, რომ ეთქვა, ვადის ამოწურვის მერე სახლში მივდივარ და სულ კარგად ბრძანდებოდეთო, აი, ეს იქნებოდა მოულოდნელი და გაუგებარი. რაც შეეხება მის შანსებს მეორე ვადით, ალბათ მოულოდნელი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ აქ შანსები ნაკლებია. თუმცა ის ნებისმიერი სხვა კონკურენტისთვის ძლიერი კონკურენტი იქნება.

***— ბატონო რამაზ, ჩვენ ვხედავთ, პრეზიდენტი მარგველაშვილი როგორ არჩევს კადრებს. იგრძნობა, რომ ის იმ ადამიანებს იკრებს, რომლებთანაც ალბათ მომავალი პოლიტიკური ცხოვრება წარმოუდგენია. შეიძლება პოლიტიკური ცენტრის შექმნაზე ფიქრობდეს და ახალი ეტაპისთვის მოემზადოს, ეს ახალი ეტაპი კი იყოს არა საპრეზიდენტო, არამედ საპარლამენტო არჩევნები.***

— სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიაზე მეც მიფიქრია, ერთი განსხვავებით — მე ველოდი, რომ მარგველაშვილი ვადაზე ადრე გადადგებოდა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩაებმებოდა თავისი ახალი პოლიტიკური ცენტრით. თუმცა, მან ეს გადაწყვეტილება არ მიიღო. მარგველაშვილს აქვს ძალიან გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაციები. ის არის მაღალი დონის პოლიტიკოსი, კი ეუბნებიან, რომ ნეიტრალური იყოს, მაგრამ ვერ არის და, შესაბამისად, ამ ფონზე უპრიანია, რომ გამოვიდეს პოლიტიკურ ასპარეზზე პარტიული ნიშნით. არ გამოვრიცხავ, საკმაოდ წარმატებული იყოს სწორედ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე.

***— რაც შეეხება სახელისუფლებო კანდიდატს, ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ პოზიციები ორად არის გაყოფილი: ნაწილი მხარს ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურას უჭერს, ნაწილი — გიორგი კვირიკაშვილს. თუმცა, ასევე არის ვერსია, რომ შეიძლება „ქართული ოცნების“ კანდიდატი საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს. შეიძლება გუნდში დაპირისპირების საგანი გახდეს საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმება?***

— მართლაც არ იქნება მარტივი საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმება. საბედნიეროდ, „ქართულ ოცნებაში“ პირაკრული სიტუაცია არ გვაქვს, ადამიანები თავიანთ პოზიციებს ღიად გამოთქვამენ. შესაბამისად, იქნება სერიოზული აზრთა დაპირისპირება.

***— მხოლოდ აზრთა დაპირისპირება?***

— მოდით, ასე ვთქვათ: პოზიციების ჯახი მოხდება. რაც შეეხება იმ გვარებს, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, თითოეულ მათგანს აქვს სერიოზული რესურსი. თითოეული მათგანი უდავოდ იქნებოდა სერიოზული კანდიდატი. მოგეხსენებათ, პრეზიდენტი საგარეო მიმართულებას კურირებს, შესაბამისად, ღარიბაშვილსაც აქვს ეს გამოცდილება, რომელიც მან პრემიერის პოსტზე დააგროვა, ასევე შემიძლია კვირიკაშვილზე ვთქვა, რომ მას ნამდვილად აქვს საგარეო ურთიერთობებში სერიოზული გამოცდილება და, ცხადია, საგარეო საქმეთა მინისტრზეც შემიძლია იგივე გითხრათ. კანდიდატის შერჩევისას საგარეო ურთიერთობებში გამოცდილებას საკვანძო მნიშვნელობა ექნება.

სხვათა შორის, ეს ნიუანსი სერიოზული მინუსი შეიძლება იყოს ალეკო ელისაშვილისთვის. თუმცა, ადამიანები მსგავსი ნიუანსებით არ იღებენ საარჩევნო ურნასთან გადაწყვეტილებას.

მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებაში“ კიდევ სხვა კანდიდატებმა გაიჟღერონ. ერთი, რაც მინდა შევნიშნო კვირიკაშვილის შესაძლო კანდიდატობაზე, არის ის, რომ ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდება. თუ გიორგი კვირიკაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატი გახდება, მაშინ ვინ იქნება პრემიერი?!

***— რამდენიმე ვარიანტი სახელდება: კალაძე ან გახარია...***

— დიახ, მაგრამ ამან შეიძლება სიტუაცია გაამწვავოს. მნიშვნელოვანი იქნება, ამ შემთხვევაში რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

***— სწორედ ამ დილემის წინაშე რომ არ აღმოჩნდეს „ქართული ოცნება“ და შემდეგ ეს არ გახდეს გუნდის შიგნით დაპირისპირების მიზეზი, შეიძლება კვირიკაშვილი დარჩეს პრემიერის პოზიციაზე?***

— დიახ, ამასაც არ გამოვრიცხავ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ სახელისუფლებო გუნდში სხვა კანდიდატებზე გაკეთდეს არჩევანი ან ღარიბაშვილი უფრო „მშვიდობიანი“ კანდიდატი აღმოჩნდეს. ვნახოთ.

***— ოპოზიცია, ვიცით, რომ სუსტია, ყოველ შემთხვევაში, მათი შედეგები აქამდე არცერთ არჩევნებზე გადამწყვეტი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, სერიოზული ორთაბრძოლა იქნება?***

— დიახ. ოპოზიციას გამარჯვების შანსი ნაკლები აქვს, მაგრამ, მერწმუნეთ, საპრეზიდენტო ორთაბრძოლა საინტერესო იქნება.

# გელა ნიკოლაიშვილი: „კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკომანების მკურნალობა და არა მათი ციხეში გაშვება“

ნონა ცაბაძე

საქართველოს საპატრიარქო ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის შეჩერებას ითხოვს. საპატრიარქო ნარკომანიის საკითხებზე საზოგადოებრივი განხილვის ინიციატივით გამოდის, რომელშიც მონაწილეობას ხელისუფლების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ექიმები, იურისტები, სასულიერო პირები, ადამიანის უფლებადამცველები, ჟურნალისტები, პედაგოგები, ინტელიგენცია და ასევე სამართალდამცველები მიიღებენ.

უმრავლესობაში არ ესმით საპატრიარქოს პოზიცია. მიაჩნიათ, რომ კანონი საკმაოდ პოზიტიურია.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურისტს, უფლებადამცველ **გელა ნიკოლაიშვილს** ესაუბრა.

***— ბატონო გელა, საპატრიარქოს პოზიციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში აზრი ორად გაიყო. თქვენთვისაც ცნობილია, რომ საპატრიარქო კანონპროქტეტის შეჩერებას ითხოვს. როგორია თქვენი პოზიცია, რატომ მოითხოვს საპატრიარქო კანონპროექტის შეჩერებას, ზედმეტად ლიბერალური და საშიშია საზოგადოებისთვის?***

— მე რაც გავეცანი საპატრიარქოს ამ პოზიციას და ასევე კანონპროექტის შესახებ შეფასებებს, მე ვფიქრობ, რომ დიდი განსხვავება ამ პოზიციებს შორის არ არის. ერთი მხარეც და მეორე მხარეც ამბობს, რომ უნდა მოხდეს ლიბერალიზაცია, ორივე მხარე ამბობს, რომ ნარკოტიკის მოხმარებისთვის არ შეიძლება ადამიანი გაუშვა ციხეში, ორივე მხარე ამბობს, რომ პარალელური პროცესები უნდა წავიდეს. ლიბერალიზაციასთან ერთად უნდა მოხდეს იმ სამედიცინო პუნქტების, სარეაბილიტაციო ცენტრების მშენებლობა და გახსნა, რომელიც უმკურნალებს ამ ნარკომანებს. მე ვფიქრობ, რომ წინააღმდეგობა უფრო გაუგებრობაში და დეტალებშია. ეს დეტალები მდგომარეობს იმაში, რომ თუ პროექტის ავტორები მოითხოვენ, რომ ეს ყველაფერი დღესვე ამოქმედდეს, საპატრიარქო მოითხოვს, რომ ეს კანონი ამოქმედდეს მას შემდეგ, რაც შეიქმნება პირობები.

***— პირობებში რა იგულისხმება?***

— მე ამ პირობებში ვგულისხმობ სარეაბილიტაციო ცენტრებს, რომელიც უმკურნალებს ნარკომანებს, გარკვეული პროგრამები იქნება შემოღებული. მე ვფიქრობ, რომ აქ გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს იმით, რომ კანონპროექტი მიღებული იქნეს იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც არის კანონპროექტში მოცემული და რომელსაც ეთანხმება კიდევაც საპატრიარქო. რომ არ შეიძლება მომხმარებელი გავუშვათ ციხეში, ოღონდ იქვე მიეთითოს, რომ ამოქმედდეს კანონპროექტი, ვთქვათ, 6 თვის შემდეგ, სამი თვის თუ რამდენი თვეც დასჭირდება იმ ცენტრების გახსნას და იმ პირობების მომზადებას, რომელსაც მოითხოვს საპატრიარქო.

***— დეპუტატების მხრიდან მოვისმინეთ ასეთი შეფასებები, რომ ეს საკითხი პარლამენტის გადასაწყვეტია და ამაში არ უნდა ერეოდეს საპატრიარქო. რამდენად სწორია ეს შეფასებები?***

— კანონების მიღებამ რა თქმა უნდა, ეს არის პარლამენტის პრეროგატივა და საბოლოოდ ესეც არის, რომ ის იღებს. თუმცა საპატრიარქო, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, არის საზოგადოების ნაწილი, საკმაოდ დიდი ნაწილის აზრის გამომხატველი და მოგეხსენებათ, რამდენი მიიჩნევს ავტორიტეტულ ორგანიზაციად და ინსტიტუტად და აქედან გამომდინარე, არავის არ აუკრძალავს და არც არავის შეუძლია აუკრძალოს: არც საპატრიარქოს, არც არასამთავრობო ორგანიზაციებს, საპატრიარქოც ხომ იგივე არასამთავრობო ორგანიზაციაა თავისი სპეციფიკით, მას ვერავინ აუკრძალავს თავისი აზრის გამოთქმის საშუალებას. მაშინ ასეთ შემთხვევაში იგივე ლოგიკით შეიძლება სხვებმაც თქვან, რომ არასამთავრობოები რატომ ერევიან და რატომ ლობირებენ ამ კანონპროექტს. ამიტომ არავის აქვს ამის თქმის უფლება, რომ საპატრიარქო რატომ ერევა. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, პარლამენტის გადასაწყვეტია ყველაფერი, მაგრამ ამ პარლამენტმაც უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების უმრავლესობის აზრი.



***— საპატრიარქომ საფრთხეები დაინახა ამ კანონპროექტში და მეტ სიფრთხილეს ითხოვს? თქვენც არაერთხელ გისაუბრიათ ჩვენი გაზეთით ამ საფრთხეებზე.***

— იცით, როგორ არის? რაღაცა საფრთხეები დაინახა, ბუნებრივია. საფრთხეები არსებობს იმაში, რომ ზოგადად ეს მთელი კამპანია ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს რა კარგია ნარკომანობა, გახდით ნარკომანები, თქვენ არავინ არ შეგეხებათ და კარგ ტონად ითვლებოდეს ნარკომანობა. როგორც ჩანს, ეს საფრთხე დაინახა საპატრიარქომ. როცა ის ამბობს, არ უნდა იჯდეს ადამიანი ციხეში ნარკოტიკის მოხმარებისთვის, აქ უკვე ყველაფერი ნათქვამია და ეს თავიდან ბოლომდე ამ პრობლემას წყვეტს.

***— ანუ საპატრიარქოც ამ პოზიციაზეა, რომ ნარკოტიკის მოხმარებისთვის ადამიანს არ უნდა აპატიმრებდნენ? მაშინ რა არის მისთვის მიუღებელი?***

— საპატრიარქოც ამ პოზიციაზეა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის კატეგორიიდან უნდა გამოვიდეს ნარკოტიკის მოხმარება და უნდა გადავიდეს ადმინისტრაციულ დანაშაულში. ადმინისტრაციულ დანაშაულშიც თუ არ გადავიდა და როგორც სიგარეტი და ალკოჰოლი, ისე გაიყიდა მაღაზიებში, ამას, რა თქმა უნდა, არავინ მიემხრობა. ეს არის ავადმყოფობა და ამას უნდა ვუმკურნალოთ. საპატრიარქოსაც სწორედ ეს აწუხებს, რომ ამ კანონმა უზრუნველყოს ნარკომანების მკურნალობა და არა მათი ციხეში გაშვება. ასევე გამავრცელებლებზე საკმაოდ მკაცრი სასჯელი დარჩეს ძალაში. მეორე მხრივ, ადამიანებმა იცოდ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში ისლამური სახელმწიფოს ბევრი მხარდამჭერი ცხოვრობს, ყველაზე ნაკლებად — პანკისის ხეობაში“

## ზაალ კასრელიშვილი: „აგვიხსნას მარგველაშვილმა, რატომ მიანიჭა 3.000 კაცს საქართველოს მოქალაქეობა“

შორენა მარსაგიშვილი

რა ახსნა-განმარტებები უნდა გააკეთოს საქართველოს პრეზიდენტმა, რა ხდება თბილისში, რომელი რეგიონია საფრთხის მატარებელი, რა პოლიტიკა უნდა შემუშავდეს მიგრანტებთან დაკავშირებით? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***— თქვენ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისგან მოითხოვეთ განმარტებების გაკეთება იმაზე, თუ რატომ მიანიჭა მან 3.000 პირს საქართველოს მოქალაქეობა. მაინცდამაინც ახლა რატომ მოითხოვეთ განმარტებები, რამე ხდება?***

— ხდება, როგორ არ ხდება, მაგრამ, სანამ ამაზე ვისაუბრებდე, მინდა გითხრათ, რომ მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე ადრეც გვქონდა კითხვები. ამ საკითხზე მაშინ დავიწყეთ მუშაობა, რაც ევროკავშირმა ლტოლვილების მიღება გვთხოვა. ეს იყო 2013 წელს, ახლო აღმოსავლეთიდან მაშინ დაიძრა ლტოლვილების პირველი ნაკადი. ევროპამ მაშინ 3.000 ლტოლვილის მიღებისკენ მოგვიწოდა.

ევროკავშირს სომხურმა ლობიმაც აუბა მხარი და მათ საქართველოს სომეხი ლტოლვილების მიღება მოსთხოვეს.

***— სირიაში მცხოვრებ სომხებზეა საუბარი?***

— მაგათზე მოგახსენებთ. საომარი მოქმედებების დაწყებამდე ალეპოსა და დამასკოში ძალიან ბევრი სომეხი ცხოვრობდა. მოსკოვში სომხური ლობი პირდაპირ ითხოვდა საქართველოში მათ ჩამოსახლებას.

კითხვები, როგორც უკვე გითხარით, მაშინაც გვქონდა და განცხადებებიც გავაკეთეთ, მაგრამ ამას მაშინ რეაგირება არ მოჰყვა, რასაც თავისი ახსნა აქვს.

***— რა ახსნა?***

— მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირი საკმაოდ ავტორიტეტულია და მის თხოვნას ანგარიში უნდა გაუწიო. და ჩვენც ეს მოთხოვნა, როგორც მოცემულობა, ისე მივიღეთ.

***— ახლა რა შეიცვალა? ახლა აღარ არის ევროკავშირი ავტორიტეტი?***

— როგორ არ არის. უბრალოდ, ევროპაში ახლა სულ სხვა მოცემულობაა, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ევროპაში ჩასულ ლტოლვილებს ეტაპობრივად დააბრუნებენ თავიანთ სამშობლოში.

დღეის მდგომარეობით, ევროკავშირის ქვეყნები ლტოლვილების ახალი ნაკადის მიღებაზე უარს ამბობენ. მათთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ჩვენ თუ ევროატლანტიკური გაერთიანებისკენ გვაქვს აღებული კურსი და მათი თხოვნით 3.000-მდე ლტოლვილი მივიღეთ, ახლა მათთან დაკავშირებით იგივე უნდა გავაკეთოთ, რასაც ევროკავშირი აკეთებს.

ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, ვინ მივიღეთ, რა მონაცემები გვაქვს მათზე. აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა სოციალურ ფენას წარმოადგენს ეს ხალხი. გასარკვევია ისიც, რა ცხოვრებით უცხოვრიათ თავიანთ ქვეყანაში.

კარგი იქნება, თუ იმასაც გვეტყვიან, რამდენი მათგანი დარჩა საქართველოში და რამდენი გადავიდა აქედან სხვა ქვეყნებში. ჩვენ ასევე გვაინტერესებს, როდის დაიწყება აქ მცხოვრები ლტოლვილების უკან დაბრუნების პროცესი.

ეს კითხვები საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ამაზე პრეზიდენტისგან განმარტებები მოვითხოვოთ.

***— მარტო პრეზიდენტისგან რატომ ითხოვთ, მთავრობას არ ეკუთვნის ამაზე პასუხის გაცემა?***

— პრეზიდენტისგან იმიტომ ვითხოვთ განმარტებებს, რომ მოქალაქეობის მინიჭების უფლება მას აქვს. ჩვენ გვაინტერესებს, რა პარამეტრებით ხდება მოქალაქეობის მინიჭება. გვაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე სტანდარტი. ვილაცებს, როგორც ვიცი, არ მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. გვითხრას, რა ნიშნით აძლევს ან არ აძლევს მოქალაქეობას.

***— თქვენი აზრით, პრეზიდენტის მხრიდან გადაცდომას ჰქონდა ადგილი?***

— ჩვენ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პატიოსნებაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ გვითხრას სათქმელი. ხომ უნდა გავიგოთ, რამდენად სწორ გზაზე დგას ეს კაცი. იქნებ მაგასაც ატყუებენ.

***— ამ ხალხის წარსული, წესით, სპეცსამსახურებმა უნდა გადაამოწმონ და მათ მიაწოდონ პრეზიდენტს ინფორმაცია.***

— პრეზიდენტმაც უნდა გადაამოწმოს და სპეცსამსახურებმაც. ქვეყანაში ასე უპრაგონოდ ხალხის შემოშვება და მათთვის მოქალაქეობის დარიგება არ შეიძლება, მით უმეტეს — ახლა.

ჩვენი, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეისთვის საქართველოში ისლამური სახელმწიფოს ბევრი მიმდევარია.

***— ისლამურ სახელმწიფოსთან რატომღაც პანკისს აიგივებენ. თქვენც ფიქრობთ, რომ იქ ცხოვრობენ რადიკალური ისლამის მიმდევრები?***

— რადიკალური ისლამის მიმდევრები პანკისშიც არიან, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ არის. ისლამისტები ყველაზე ნაკლებად სწორედ პანკისში არიან.

ვინც ამ რეგიონის დემონიზაციას ცდილობს, მათ მინდა ვუთხრა, რომ პანკისელების დედაქალაქი არის თბილისი, ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები. საუბრობენ ქართულ ენაზე და ყოველთვის ამ ქვეყნის სადარაჯოზე იდგნენ.

დამიჯერეთ, სხვა რეგიონებში ისლამური სახელმწიფოს ბევრად მეტი მიმდევარი ცხოვრობს, ვიდრე პანკისში.

***— რომელ რეგიონებში ცხოვრობენ ისლამური სახელმწიფოს მიმდევრები?***

— თითქმის ყველა რეგიონში. გადით თბილისიდან და სადღაც 30 კილომეტრში ნახავთ დასახლებებს, სადაც ქართულ ენაზე ერთ სიტყვასაც კი ვერ ამბობენ. არადა, ეს ხალხი დიდი ხანია, რაც საქართველოში ცხოვრობს. პანკისელებისგან განსხვავებით, ეს ხალხი თბილისს თავის დედაქალაქად არ თვლის.

ამ მხრივ არც თბილისშია კარგი სიტუაცია. საიმიგრაციო პოლიტიკა სერიოზულადაა მისახედი. ჩვენ შორს ვართ ფსევდოპატრიოტული დემარშებისგან, მაგრამ კანონმა უნდა იკანონოს.

საერთაშორისო სამართალი პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას გვაძლევს. ყველა იმ ადამიანის წარსულის შესწავლა უნდა მოხდეს, ვინც საქართველოში შემოდის. აუცილებლად უნდა დავადგინოთ, რა კავშირები აქვს მას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ტრამპმა აიღო ძალიან კარგი კურსი და ჩვენც უნდა მივბაძოთ მას. ის ამბობს, რომ აშშ-ის მოქალაქეობა იმ ადამიანებს უნდა მიენიჭოთ, რომლებსაც ამ ქვეყნისთვის მატერიალური ან მორალური სარგებლობის მიტანა შეუძლიათ. ჩვენც შეგვიძლია, ასე დავსვათ საკითხი.

***— როგორ არ შეგვიძლია, მაგრამ არ დავსვამთ, ჩვენ ხომ განსაკუთრებულები ვართ.***

— განსაკუთრებულები ვართ, როგორ არა. ყველა გზააბნეული, უმისამართო და უნიფხვო აქ შემოვიდა. ზოგიერთი მათგანი საკუთარი ქვეყნიდან გამოგდებულია, სამაგიეროდ, აქ გრძნობენ თავს კარგად.

***— თქვენ უნიფხვოები ეძახეთ და მთავრობის ენაზე მაგათ ინვესტორები ჰქვიათ.***

— რა ინვესტორები, კაცო?! ბორდელის გახსნას რა ინვესტიცია უნდა. „პადვალს“ დაიქირავებ, ბორდელს დაარქმევ, ბოზები და მათი მომხმარებლებიც თავისით მოვლენ. რაის ინვესტიციაა ეს, ნუ გადამრიეთ.

ვთქვათ და დავიჯერე, რომ ბორდელის გამხსნელი ინვესტორია. მაშინ გვითხრას ხელისუფლებამ, ამ ხალხისგან განხორციელებული ინვესტიციისგან რა სარგებელი ნახა საქართველოს ბიუჯეტმა.

***— რაღაცას მაინც გადაიხდიდნენ ბიუჯეტში.***

— რა უნდა გადაიხადონ, უნიფხვოები არიან. გარდა იმისა, რომ ბიუჯეტი არანაირ ხეირს არ იღებს მათგან, ჩვენ ისიც არ ვიცით, რა ფულით ხსნიან ბორდელებსა და ჩილიმ-ბარებს.

ამ საკითხის ასე არხეინად დატოვება როგორ შეიძლება? ასე თუ გაგრძელდა, ძალიან გართულდება სიტუაცია. იქითკენ მიდის საქმე, რომ რაღაც მკვეთრი ზომების მიღება გახდება საჭირო.

***— მკვეთრ ზომებში რას გულისხმობთ?***

— ძალიან ვიაქტიურებთ. ასე როგორ შეიძლება, ყველას საქართველოს მოქალაქეობას აძლევენ. აქ იმ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც იაპონიაში მეტროებში ხალხს წამლავენ და სირიაში ქალებსა და ბავშვებს ხელებს აჭრიდნენ.

ახლა გეკითხებით, აკრძალულია თუ არა მთელ მსოფლიოში ისლამური სახელმწიფოს წევრობა.

***— მთელ მსოფლიოში არ არის აკრძალული, მაგრამ ევროპაში, ამერიკაში ხალიფატის წევრობა ისჯება.***

— მერე, ჩვენ რა გვჭირს? თავი ხომ მიგვაჩნია ევროპის ნაწილად. ავდგეთ და ოფიციალურად ავკრძალოთ ისლამური სახელმწიფო. მისი წევრობა დანაშაული უნდა იყოს.

***— აკრძალვა მოხსნის პრობლემას?***

— სანამ დევნა, რბევა და მამაძაღლობა დაიწყება, ამ მიმდინარეობის მიმდევრებს უნდა ვუთხრათ, წაბრძანდით საქართველოდანო.

***— და ისინიც წაბრძანდებიან?***

— დაველაპარაკოთ, ავუხსნათ, გავუღოთ ოთხივე მხრიდან კარი და აუცილებლად წაბრძანდებიან.



### „ბორდელის მეპატრონე ინვესტორი არ არის“



# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშით საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანათა ჯგუფშია

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი რეკომენდაციებით, საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებს შორის მოხვდა. ახალი ანგარიში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიურმა ბიურომ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა.

ანგარიშში ქვეყნები ოთხ ჯგუფებად არის დაყოფილი:

ქვეყნები, სადაც უსაფრთხოების ზომები დაცულია; ქვეყნები, სადაც საფრთხე გაზრდილია; ქვეყნები, სადაც გამგზავრების გეგმების გადახედვა სჯობს; ქვეყნები, სადაც გამგზავრება არ ღირს.

ანგარიშის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყანათა სიაში მოხვდა, რომლებშიც უსაფრთხოების ზომები დაცულია, თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მოგზაურობისგან მსურველებმა თავი უნდა შეიკავონ, ვინაიდან ამ ტერიტორიებზე გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში აშშ-ის საელჩო ვერ დაეხმარება თავის მოქალაქეებს.

საქართველოსთან ერთად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, პირველი ჯგუფის ქვეყნებში მოხვდნენ ალბანეთი, სომხეთი, ლატვია, ფინეთი, ავსტრია და ა.შ.

რაც შეეხება სხვა ჯგუფებს — ქვეყნები, რომლებშიც საფრთხე გაზრდილია:

გერმანია; გაერთიანებული სამეფო; საფრანგეთი; ბელგია; დანია; უკრაინა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ამ ქვეყნების უმეტესობაში , ბოლო დროის მონაცემებით, ტერორიზმის საფრთხეა გაზრდილი, ხოლო უკრაინაში გაზრდილია დანაშაულის დონე და საზოგადოებრივი არეულობა.

მესამე ჯგუფის ქვეყნებში, სადაც რეკომენდებულია მოგზაურობის გეგმების გადახედვა, მაღალი რისკების გამო მოხვდა რუსეთიც. დეპარტამენტის მიხედვით, ამის მიზეზი ტერორიზმის გაზრდილი მაჩვენებელი და რუსეთის სახელმწიფო ორგანოების მიერ ამერიკის მოქალაქეების „შევიწროების ფაქტებია“. რუსეთთან ერთად ამ ჯგუფში მოხვდნენ თურქეთი, ნიგერია, პაკისტანი და ვენესუელა.

იმ ქვეყანათა ჯგუფში, რომლებშიც აშშ-ის დეპარტამენტის მიხედვით, სიცოცხლისთვის სერიოზული რისკი არსებობს, მოხვდნენ ირანი, ერაყი, ავღანეთი, სომალი და ჩრდილოეთ კორეა.




აშშ-ის დიპლომატიური ბიურო თითოეულ ჯგუფს რამდენიმე მაჩვენებლით საზღვრავს, მათ შორის: დანაშაულის დონე, ტერორიზმის მაჩვენებელი, საზოგადოებრივი არეულობა, ჯანმრთელობა, ამინდი და ბუნებრივი კატაკლიზმების დონე და მიმდინარე პოლიტიკურ/სოციალური მოვლენები. გარდა ამისა, ბიუროსთვის ყურადსაღებია ისიც, აუცილებლობის შემთხვევაში, შეეძლება თუ არა ახლომდებარე საელჩოს მოქალაქისთვის დახმარების გაწევა.

# გელა ნიკოლაიშვილი: „კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკომანების მკურნალობა და არა მათი ციხეში გაშვება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნენ, განსაკუთრებით კი მოზარდებმა, რომ ეს არის სენი, ამ ადამიანებს მკურნალობა სჭირდებათ და ცხოვრების ჯანსაღი წესი უნდა იქნას დანერგილი, ლობირებული და პროპაგანდირებული და ამის პარალელურად შეიძლება კანონის ლიბერალიზაცია.

***— პროპაგანდას რაც შეეხება, ფრანგი ფოტოგრაფის წერილს დიდი აღშფოთება მოჰყვა ჩვენს საზოგადოებაში, თუმცა მას ტყუილი არაფერი უთქვამს: ერს, რომელსაც ოკუპაციის წინააღმდეგ აქციაზე ასი კაციც ვერ გამოჰყავს, ხოლო ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით 10 ათასი კაცი გამოდის, იმ ერს მომავალი არ აქვსო.***

— რატომ გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში, რა, ეს არ არის მწარე რეალობა?! ჩვენ არ დავინახეთ, რომ ეს ასეა. ოკუპაციის გასაპროტესტებლად ასი კაციც ვერ მოგროვდა და თეთრი ხმაურის მოძრაობამ ლამის 10 ათასი კაცი გამოიყვანა. რაც მთავარია, ისეთი მონდომება და აქტიურობა იგრძნობოდა, თითქოს ძალიან კარგ რაღაცას ითხოვდნენ.

იმის მაგივრად, რომ პროპაგანდა მიდიოდეს, რომ ეს ძალიან ცუდია, ეს ავადმყოფობაა, მოდით ნუ გავუშვებთ ამ ადამიანებს ციხეში და ვუმკურნალოთ, სიბრალულის ნაცვლად ისეთი ტონია, რომ ეს თურმე კარგი ბიჭობაა და ძალიან კარგ ტონად ითვლება. რაღაც შეჯერება უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, კი ბატონო, არ გავუშვათ ეს ადამიანები ციხეში, მაგრამ მეორე მხრივ, არ უნდა ხდებოდეს ამის რეკლამირება! არ იქცეს მოდურად და არ იქცეს ჩვენი ცხოვრების მისაღებ წესად.

# ზურაბ ჯაფარიძე: „საპარლამენტო უმრავლესობა ემორჩილება პატრიარქს“

## რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „მარიხუანა“

შორენა მარსაგიშვილი

ნარკოპოლიტიკის კანონპროექტის ალტერნატიულ ვერსიას ახალი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. ეს გადაწყვეტილება 12 იანვარს, მეცნიერთა აკადემიაში ნარკოპოლიტიკის შესახებ გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღეს.

ერთობლივი გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფი მეცნიერებით, დეპუტატებით, საერთაშორისო ორგანიზაციებითა და დაინტერესებული პირებით დაკომპლექტდება.

მეცნიერების განცხადებით, ალტერნატი-



ული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს დღეს არსებულ რეალობას. ის, მათივე თქმით, ასევე უნდა მოიცავდეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შემთხვევებს, პრევენციასა და ნარკომომხმარებელთა რიცხვის შემცირებას.

მათი განცხადებით, შესაძლებელია ახალი პროექტის შექმნა, რომელიც შემდეგ განსახილველად საზოგადოებას წარედგინება. მეცნიერები უკვე არსებულ კანონპროექტს არ ეთანხმებიან. არგუმენტად ისინი სანქციების ჰუმანურობას და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას ასახელებენ.

ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელა საპატრიარქომ.

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ ნარკოპოლიტიკის შესახებ კანონპროექტის განხილვა დროებით უნდა შეჩერდეს.

საპატრიარქო ამბობს, რომ არასოდეს უჭერდა მხარს ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას. ამის მიუხედავად თვლიან, რომ კანონის მიღებამდე გარკვეული საკითხების გათვალისწინება აუცილებელია.

— სახელმწიფომ უნდა დააწესოს დამატებითი რეგულაციები ნარკოტიკების გამავრცელებლის მიმართ და ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ ცვლილებების შესახებ საკუთარი ხედვა უნდა წარადგინოს.



შეიქმნას დამატებითი კურსები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში და მოხდეს სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრების გაძლიერება. ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის შემთხვევაში კი, კანონი უნდა გამკაცრდეს, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საპატრიარქოს განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა გაგებით მოეკიდა. მათმა გაგებამ და საპატრიარქოს განცხადებამ „გირჩი“ და მისი ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე წყობილებიდან გამოიყვანა.

ჯაფარიძემ „ოცნების“ დეპუტატებს სულ საპატრიარქოს მონები ეძახა. დარწმუნებულია, რომ კანონმდებლები საპატრიარქოს გავლენის ქვეშ მოექცევიან. მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს პოზიციები კონსპირაციულ თეორიებს ეფუძნება.

— ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს პარლამენტში პარლამენტის წევრების ძალიან დიდი ნაწილი პირდაპირ ემორჩილება და უჯერებს საქართველოს საპატრიარქოს, შესაბამისად ეს, ცხადია, ნეგატიურ გავლენას მოახდენს ამაზე. ეს არის ტესტი საქართველოს პარლამენტისთვის. ისინი დაემორჩილებიან და დაუჯერებენ ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტს, რომლის პოზიციებიც რეალურად ეფუძნება რაღაცა კონსპირაციულ თეორიებს, ირაციონალურ და არამეცნიერულ ხედვებს, თუ ისინი გაიზიარებენ თანამედროვე, ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას და მეცნიერულ შეხედულებებს ამ საკითხთან მიმართებაში, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ ჯაფარიძემ.





საპატრიარქოს პოზიციას იწუნებს თეოლოგი ვლადიმერ ნარსიას. მისი თქმით, იმ სასულიერო პირებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებას ულტიმატუმით ელაპარაკებიან, ამ საკითხზე ახალი არაფერი უთქვამთ.

პირველ რადიოსთან საუბარში თეოლოგი კითხულობს, თუ რატომ გახდა მათი განცხადებები დღეს ასეთი აქტუალური.

ნარსია აცხადებს, რომ ეკლესიის სურვილი ჩაერიოს სახელმწიფო საქმეებსა და პოლიტიკაში, 2012 წლის შემდეგ განსაკუთრებითაა მომატებული. მისივე თქმით, თუ საზოგადოებამ სიფრთხილე არ გამოიჩინა, ფუნდამენტალიზმისკენ წასვლის რისკები დიდია:

მეცნიერებათა აკადემიაში საკითხის განხილვა საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა. ჯემალ ჯანაშიას განცხადებამ ყველა გაამხიარულა. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ტერმინ „მარიხუანასთან“ დაკავშირებით ისაუბრა.

მარიხუანა ეს არ არის სწორი ტერმინი. სწორი ტერმინია კანაბისი. მე მეცნიერებათა აკადემიაში ვარ და მარიხუანა ეს არის სლენგი... იყო მარია და ხუანი. ეს ორი ადამიანი გაერთიანდა, მოწიეს ეს შეკეთებული სიგარეტი და მერე გამოვიდა პაპიროსი — მარიხუანა. ამიტომ ჩვენ ამას უნდა შევეშვათ ნელ-ნელა და უნდა გადავიდეთ უფრო სწორ ტერმინოლოგიაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ქართული საკანონმდებლო არქიტექტურა მთლიანად დაარღვია, გამოიყენა ტერმინი „მარიხუანა“. როგორ შეიძლება ეს ტერმინი გამოიყენებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელმაც ერთი მეორეზე მიაწყო ისეთი გადაწყვეტილებები, რამაც შექმნა კოლიზია ქართულ კანონმდებლობაში, — განაცხადა ჯემალ ჯანაშიამ.

# ზურაბ ალავიძე: „ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა“

ზამთრის საკურორტო სეზონზე შექმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები განიხილა დღეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ ბაკურიანში გამართულ საგანგებო თათბირზე.

მინისტრის განცხადებით, წლევანდელ სეზონზე, საახალწლო პერიოდში ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობის სტუმრობას ბაკურიანი მოუმზადებელი დახვდა.

შეხვედრისას ზურაბ ალავიძემ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელობისგან მიიღო ინფორმაცია, ბაკურიანში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მინისტრმა მხარის გუბერნატორთან, ბორჯომის მერთან და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად, განიხილა პარკირების, წყალმომარაგებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის საკითხები.

თათბირს საპატრულო პოლიციისა და სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

მინისტრის განცხადებით, დაიგეგმა ყველა ის გასატარებელი ღონისძიება, რომ ტურისტებს კომფორტულად შეეძლოთ დასვენება.

— შეხვედრისას კომპლექსურად განვიხილეთ არსებული პრობლემები, რომელიც ტურისტების უპრეცედენტო ნაკადის გამო შეიქმნა. გამომდინარე აქედან, შესაბამის სამსახურებთან ერთად, გატარდება ყველა აუცილებელი ღონისძიება უახლოეს პერიოდში. მოხდება პარკინგების გაფართოება და მოწესრიგება, ასევე გაკეთდება დამატებითი გზები, რომ ვიზიტორებმა შეძლონ უპრობლემოდ გადაადგილება. ტურისტების მზარდი რაოდენობის გამო, ბაკურიანში ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ, — განაცხადა ზურაბ ალავიძემ.



# ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის ზრდის საფრთხეა

## სირიაში სხვა ტერორისტული დაჯგუფებებიც მოქმედებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ჩრდილოეთ კავკასიაში, ფაქტობრივად, მუდმივად მიმდინარეობს წვრთნები. რუსეთის არმიის სამხრეთ სამხედრო ოლქში გახშირებული სწავლებები ტერორიზმის ზრდის საფრთხეს უკავშირდება. ითვლება, რომ არსებობს ტერაქტების მოწყობის რეალური რისკი. საშიშროებას ზრდის ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ დაშლის ფონზე ადამიანების დაბრუნება მშობლიურ ადგილებში.

დსთ-ის ქვეყნებიდან სირია-ერაყში დაახლოებით 5.000 პირი წავიდა. აქედან უმრავლესობა — ჩრდილოეთ კავკასიიდან. წასულების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი — დაბრუნდა, თუმცა მათ დაბრუნებას კიდევ ელიან. შექმნილ სიტუაციაში მზადყოფნაში არიან მოყვანილი ძალოვნები. ექსპერტები თვლიან, რომ ახლო აღმოსავლეთში გამოცდილებამიღებული მებრძოლები უფრო ადვილად მოაწყობენ ტერაქტებს.



ზოგიერთი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ დესტაბილიზაციის საფრთხე უშუალოდ არ უკავშირდება კავკასიასა და სალაფიტური ჯგუფებიდან წამოსულ რისკებს. ასეთი ჯგუფებით სპეცსამსახურები არიან დაკავებული. დესტაბილიზაციას იწვევს, პირველ რიგში, სირიისა და დონბასის მოვლენები, აგრეთვე, ისეთი პრობლემები, როგორიცაა ყარაბაღის კონფლიქტი.

ჩრდილოეთ კავკასიაში სირიიდან დაბრუნებულების ნაწილს მშვიდობიანი ცხოვრების ნორმალურ პირობებს ჰპირდებიან.

ამგვარი განცხადებით ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოვიდა ინგუშეთის ლიდერი იუნუს-ბეკ ევკუროვი. მისი თქმით, დაბრუნებულებს, კაცებსაც და ქალებსაც, შეამოწმებენ და, თუ მათ კონკრეტული დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხელს შეუწყობენ მშვიდობიან საქმიანობაში.

ინგუშეთში ამ კატეგორიის ხალხის ადაპტაციაზე ადრევე ზრუნავდნენ. 2011 წლიდან ინგუშეთში მუშაობს მშვიდობიან ცხოვრებასთან ადაპტაციის კომისია.

რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში კავკასიაში მოსალოდნელი საფრთხეების მოლოდინი შემცირდა. ამის მიზეზად სახელდება ჩრდილოეთ კავკასიის თემების მიჩქმალვა. რუსეთის ცენტრალური მედია ძირითადად დაკავებულია ანტიდასავლური პროპაგანდით და ასეთ საკითხებს არ აშუქებს.

„ისლამური სახელმწიფო“, რომლის რიგებში საბრძოლველად უამრავი ჩრდილოკავკასიელია წასული, დიდი ხანია, დაიშალა. მის ტერორისტებს ებრძოდნენ დასავლური კოალიცია აშშ-ის მეთაურობით, ასევე რუსეთი, სირიისა და ერაყის სამთავრობო ჯარები.

ცოტა ხნის წინ ითქვა, რომ ტერორიზმი სირიაში საბოლოოდ განადგურებული არა არის. ამიტომ აშშ თავისი კონტინგენტის ნაწილს სირიიდან არ გამოიყვანს. სამხედროების ნაწილი რუსეთმაც დატოვა.

თუ აქამდე იმაზე მაინც თანხმდებოდნენ, რომ სირიაში ომი დამთავრდა, ახლა ესეც საეჭვო გახდა. კრემლი, რომელიც სირიაში დიად გამარჯვებაზე ლაპარაკობდა, ბოლოდროინდელმა თავდასხმებმა დააბნია.

სირიაში რუსეთის სამხედრო ობიექტებზე ორი თავდასხმა განხორციელდა. აქედან ერთი — თვითნაკეთი უპილოტო თვითმფრინავებით. შეტევების შედეგად დაზიანდა რუსული ტექნიკა და დაიღუპა ორი სამხედრო.

საქმემ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მომხდარის გამო თავის მართლება კიევსაც კი მოუხდა. უკრაინელებმა განაცხადეს, რომ ამ თავდასხმებთან კავშირი არ აქვთ.

რუსეთის პრეზიდენტი ირწმუნება, რომ იცის, ვინ დგას ამ კარგად მომზადებული პროვოკაციის უკან. მანამდე ამაში აშშ-ს დასდო ბრალი რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის დეპუტატმა.

სირიაში რომ მშვიდობამდე შორსაა, ამაზე ტერორისტების მიერ სირიის სამთავრობო ჯარების ალყაში მოქცევა მეტყველებს. გავრცელებული ინფორმაციით, ეს გააკეთეს ტერორისტული ორგანიზაციების ახრარამ-შამმა და ფაილალ არრახმანმა.

არ არის გამორიცხული, კავკასიელები ამ ორგანიზაციების რიგებშიც იბრძოდნენ.

# დავით ნემსაძე: „ფრთხილად, შეიძლება თქვენს ტელეფონში „შპიონია“!

გულიკო ბალაძე

– გაფრთხილდით, მოერიდეთ არალიცენზირებული ქართული პროგრამების თქვენს ელექტროსისტემებში (განსაკუთრებით ტელეფონებში) დაინსტალირებას! – ასეთი მოწოდებით გამოდის სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე.

– მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ე.წ. ფლეი მარკეტში გარკვეული ქართული წარმომავლობის არალიცენზირებული პროგრამები წარმოადგენენ სადაზვერვო სახის ვირუსულ ელემენტებს. როდესაც ეს მოწყობილობები მოხვდებიან თქვენს ტელეფონში, სისტემურ ბაზებს ანახლებენ იმ სატელეფონო ცნობარით, რომელიც თქვენს ტელეფონში კონფიდენციალურად გაქვთ დაცული, ის ავტომატიზირებული სისტემით პროგრესირებს, ანუ ახლდება. ყოველივე ხდება ფარულად, თქვენი თანხმობის გარეშე, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ **დავით ნემსაძე.**

დავით ნემსაძის განცხადებით, აღნიშნული სადაზვერვო პროგრამები არ ეკუთვნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს. მათ გააჩნიათ სრული ბაზა როგორც ელექტრონული, ისე სხვა სოციალური სახის, რაზეც უპრობლემოდ აქვთ ხელწვდომა. გამომდინარე აქედან ქვეყანაში შექმნილი სადაზვერვო მექანიზმები, რომლებიც ქვეყნის სპეცსამსახურს არ ეკუთვნის, ორმაგად საშიში და სერიოზული კონტრდაზვერვითი საფრთხის მატარებელია. სახეზეა უცხო ქვეყნის საგარეო დაზვერვის ეფექტური მუშაობა, რომელიც აგროვებს ინფორმაციას საქართველოს მოქალაქეების შესახებ. კონკრეტულად, მათი პირადი კონტაქტების და მიწერ-მოწერის ირგვლივ. არავინ იცის, ამ ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახური როგორ „პროდუქტს“ შექმნის და რა ფორმით იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე.

–„შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“ დახურული წერილით მიმართავთ სუსის ხელმძღვანელობას, რათა დროულად მოხდეს კონკრეტული პროგრამების იდენტიფიცირება და ბლოკირება ზემოთ აღნიშნულ საფრთხეებთან გამკლავების მიზნით. ეს არის თანამედროვე გამოწვევები და რეალური საფრთხე საზოგადოებისთვის. მას ისეთი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ, როგორც სოციალური-ფსიქოლოგიური და ეკონომიური თავდაცვის მიმართულებებს, – მიაჩნია დავით ნემსაძეს.

***– ბატონო დავით, თქვენ საუბრობთ კიბერუსაფრთხოების პრობლემაზე. კერძოდ, ეს რა პრობლემაა?***

– არსებობს კიბერუსაფრთხოების პრობლემა – ონლაინ სივრცეში გამოჩნდა ქართული წარმოების ონლაინ პროდუქტები, რომელიც განთავსებულია ძირითადად „ფლეი მარკეტში“. ეს არის არალიცენზირებული ქართული პროდუქტები. ელექტრონულ მოწყობილობაში (არ ვიტყვი, პროდუქტს რა ჰქვია, ამ პროდუქტების პოპულარიზება რომ არ მოხდეს) აკეთებს ე.წ. ელექტრონულ განახლებას, კონფიდენციალური ინფორმაციის შესრუტვას, ანუ მიტაცებას და საკუთარი ბაზების განახლებას, როგორიც შეიძლება იყოს, ვთქვათ, სატელეფონო ბაზები.

***– თუ მაგალითად, ჩემს ტელეფონში შემოაღწევს ასეთი პროგრამა, რა მოხდება?***

– საკმარისია გადმოწეროთ ის არალიცენზირებული პროგრამა, დააყენოთ თქვენს ტელეფონში, ჩათვალეთ, რომ თქვენ ტელეფონში გყავთ ე.წ. შპიონი, რომელიც კონფიდენციალურ ინფორმაციას გაიტანს.

***– კომპიუტერში ფეისბუქის ან მეილების მეშვეობით შემოღწევა და არსებული ინფორმაციის შესრუტვა შეუძლია?***

– მნიშვნელობა არ აქვს, რა მოწყობილობა იქნება. ნებისმიერი მოწყობილობიდან შეუძლია ინფორმაციის მოპარვა, თუ იმ მოწყობილობაში, სადაც შეიძლება შენახული იქნას კონფიდენციალური ინფორმაცია, მოხვდება არალიცენზირებული „ქართული პროდუქტი“, თქვენი კონფიდენციალური ინფორმაცია ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხის ქვეშ.

***– კონკრეტულად, რა ინფორმაციის გატანა შეუძლიათ?***

– კონკრეტულად, ეს შეიძლება იყოს, როგორც თქვენი სატელეფონო წიგნი, ისე ფოტოსურათები, აუდიოფორმატის, ან ვიდეოფორმატის ფაილები და სხვა სახის ელექტრონული ინფორმაცია. მათ შორის, საუბრები. ეს პროგრამები არის ვირუსული პროგრამები, რომელიც არ ეკუთვნის ქართულ სპეცსამსახურებს.

***– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ აღნიშნული ვირუსული პროგრამები ქართულ სპეცსამსახურებს არ ეკუთვნით?***

– ქართულ სპეცსამსახურებს აქვთ ყველანაირი სახის (სოციალური თუ არასოციალური სახის) ბაზები და მათთვის ამ ბაზებზე ხელმისაწვდომობა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

***– თუკი ამის საჭიროება შეიქმნება?***

– თუკი ამის საჭიროება შეიქმნება, ქართულ სპეცსამსახურებს ლეგალური გზით შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება. ამგვარი ვირუსული პროგრამების გამოყენების საჭიროება ქართულ სპეცსამსახურებს არ გააჩნიათ. ეს არის კონტრდაზვერვითი საფრთხე.

***– საფრთხე ჩვენი კონტრდაზვერვის სამსახურიდან მომდინარეობს?***

– არა, უცხო ქვეყნის კონტრდაზვერვიდან. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის, „შეიარაღებული ძალების კონტროლის ჯგუფში“ გაანალიზდა აღნიშნული პრობლემა. ეს არის მიზანმიმართული შეტევა ქართულ სექტორზე. ვიღაც საქართველოს მოქალაქეების პირად ინფორმაციას აგროვებს.

***– ვინ ვიღაც?***

– ეს შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახური, რომელმაც შეიძლება შემდეგ პერსონალური ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და კონტროლის ხარჯზე მოახდინოს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დაშანტაჟება და დაქვემდებარება. ეს არის აპრობირებული მეთოდი, რომელსაც სპეცსამსახურები იყენებენ.

***– როგორ?***

– მოიპოვებენ რა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების პერსონალურ ინფორმაციას, გააანალიზებენ მას და შეუძლიათ ისინი ჩართონ სადაზვერვო სამუშაოებში კომპრომეტაციული მეთოდიკის გათვალისწინებით. ამიტომ ეს ცალსახად წარმოადგენს კონტრდაზვერვით საფრთხეს, რაც არ არის მხოლოდ სპეცსამსახურების მისახედი. ქვეყანაში არის პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორი, რომელსაც არასდროს არაფერი ამ მიმართულებით არ გაუკეთებია.

***– რა იცით, რომ არ გაუკეთებია?***

– პირადი გამოცდილებიდან ვიცი, ქალდანი პერსონალური ინფორმაციის დაცვას კიბერმიმართულებით კი არა, რეალურ სივრცეში არ ახდენს. მახსოვს, სამხედრო ბაზის კადრების სამსახურში ოფიცრის პირად საქმეში ანონიმური დოკუმენტი ჩადეს, სადაც ცილისმწამებლური სიყალბეები ეწერა. თამარ ქალდანმა ყურიც კი არ გააპარტყუნა. ქალდანი ამ ინფორმაციას ჩემგან არ უნდა იგებდეს.



***– იქნებ ქალდანმა ამ პრობლემის შესახებ იცის და გარკვეულ ქმედებებსაც მიმართავს?***

– თუ იცის, რატომ არის ვირტუალურ სივრცეში ეს ვირუსული პროგრამები? გადმოწერეთ ხსენებული ვირუსული პროგრამა და ნახავთ, როგორ მოგთხოვთ პროგრამა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე დაშვებას და გაისრუტავს იქიდან მას. თუ ქალდანმა ამის შესახებ იცის, რატომ არ დაიბლოკა ის ვირუსული პროგრამები, რომელზეც მე ვსაუბრობ. ვთხოვ პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორს, ჩაერთოს ამ საკითხში, მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ძალიან მალე ჩვენი ორგანიზაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიმართავს, შეისწავლონ ეს სოციალური ველი და მოახდინონ იმ სოციალური ველის ბლოკირება, რომელშიც აღნიშნული ვირუსული პროგრამებია განთავსებული.

***– უსაფრთხოების სამსახურმა ეს არ იცის?***

– მათ შეიძლება ბევრი რამ იცოდნენ. ახლა არ შევუდგები იმის ანალიზს, რა იციან უსაფრთხოების სამსახურებმა და რას აკეთებენ.

***– თქვენ როგორ დაადგინეთ, რომ ვირუსული ქართული პროგრამები იყო ვირტუალურ სივრცეში, რომლითაც უცხო ქვეყნის დაზვერვის სამსახურები მუშაობდნენ?***

– ჩემი ორგანიზაცია არ მუშაობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ჩვენ ვართ „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფი“, სადაც გვყავს ძალიან ძლიერი სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ უსაფრთხოების მიმართულებით.

***– თქვენს ტელეფონში შემოაღწიეს?***

– რა თქმა უნდა. თქვენც თუ გადმოწერთ ასეთ პროგრამას, თქვენი კონფიდენციალურ ინფორმაციაც იქნება მათთვის ხელმისაწვდომი. ეს არის თანამედროვე გამოწვევები, კიბერგამოწვევები. მას სჭირდება ყურადღების მიქცევა. სახელმწიფოში აუცილებელია მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალური თავდაცვა, მაგრამ კიბერთავდაცვაც ასევე მნიშვნელოვანია.

***– რომელი უცხო ქვეყნის კონტრდაზვერვის სამსახურები ცდილობენ ჩვენი მოქალაქეების კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებასა და დაშანტაჟებას, ხომ არ გამოჩნდა ანალიზის დროს?***

– მარტო ერთი ქვეყანა არ ცდილობს ჩვენი მოქალაქეების დაშანტაჟებასა და ამ გზით თავისი სადაზვერვო საქმიანობაში მათ ჩართვას. ეს არ არის მხოლოდ ჩრდილო მიმართულების ქვეყანა. რატომღაც ყველა აქცენტს ჩრდილო მიმართულების ქვეყანაზე აკეთებს. ამგვარ საქმიანობაში ჩართული არიან ის დიდ ქვეყნები, რომლებსაც ჩვენს გეოპოლიტიკურ მერიდიანზე თავისი ინტერესები აქვთ. ასე რომ, კიბერსაფრთხეები არ არის მხოლოდ ჩრდილოური საფრთხეები. ჰიბრიდული ომის კომბინირებულ მეთოდს შეიცავს. ეს არის პროცესი, როდესაც ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც ტრადიციული მეთოდებით საქართველოს 20% აქვს ოკუპირებული, ნაკლებად სჭირდება ასეთი სოციალური დაზვერვის ჩატარება. მოვუწოდებ ხელისუფლებას, კონკრეტულად, ძალოვან უწყებებს, გააქტიურდნენ იმ ქვეყნების აღმოსაჩენად, რომლებიც (გარდა ჩრდილო ქვეყნისა) თავის გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს ატარებს ჩვენს გეოპოლიტიკურ მერიდიანზე.

***– იმედია, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებად ცნობილი ქვეყნები არ აწარმოებენ ჩვენს ქვეყანაში კონტრდაზვერვით სამუშაოებს.***

– საერთოდ, მე არ ვიცი, რას ნიშნავს სტრატეგიული პარტნიორობა, როცა 2008 წლის ომის დროს მარტონი ვიყავით საფრთხის წინაშე. თუ სტრატეგიას ახსენებთ პარტნიორობაში, 2008 წლის შემდეგ, მე ვერავის ვუწოდებ სტრატეგიულ პარტნიორს. ერთ რამეს ვიტყვი, შეიძლება არსებობს ორი მეგობარი სახელმწიფო, მაგრამ არ არსებობს ორი მეგობარი სპეცსამსახური. ამდენად, ქვეყანას სჭირდება კონტრდაზვერვის უფროსი და კონტრდაზვერვით საფრთხეებთან გამკლავება.

## ირაკლი კობახიძე: „პარლამენტი შსს-თან ითანამშრომლებს“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, ჟურნალისტების კითხვაზე ნუცუბიძეზე საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებისას გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის მიმართ პოლიციელების მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე განაცხადა, რომ პარლამენტი შსს-სთან ითანამშრომლებს იმისათვის, რომ რეფორმები გატარდეს.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ კითხვას გაეცეს სათანადოდ პასუხი, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ასეთი საქმე იყოს ბოლომდე გამოძიებული. ეს არის ჩვენი საპარლამენტო საზედამხედველო ფუნქციების ნაწილი და ამ ფუნქციების უფლებამოსილების ფარგლებში ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიქნებით ჩართული. ზოგადად, დახვეწას საჭიროებს ბევრი რამე, ამაზე საუბრობდა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია. ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ ბატონ გიორგისთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან იმისათვის, რომ გატარდეს რეფორმები და კიდევ უფრო დაიხვეწოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა, – განაცხადა კობახიძემ.

## 2017 წელს რძის პროდუქტების მწარმოებელი 56 კომპანია დაჯარიმდა

2017 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძის პროდუქტების მწარმოებელ, გადამამუშავებელ და რეალიზატორ ბიზნესოპერატორებთან 424 სახელმწიფო კონტროლი განახორციელა, მათ შორის, 373 ინსპექტირება და 51 დოკუმენტური შემოწმება. გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 56 ბიზნესოპერატორი, მათგან 11-ს, კრიტიკული შეუსაბამობების გამო, საწარმოო პროცესი შეუჩერდა. ამის შესახებ „კომერსანტს“ სააგენტოდან აცნობეს.

საწარმოების სანიტარიულ მდგომარეობასთან ერთად, შემოწმდა პროდუქციის შესაბამისობა რძის ტექნიკურ რეგლამენტთან. ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდა 24 ბიზნესოპერატორი. რძესა და რძის ნაწარმში მცენარეული ცხიმის შემცველობის განსაზღვრაზე აღებულია 105 ნიმუში; Listeria monocytogenes-ის კვლევაზე – 120 ნიმუში, სალმონელაზე – 255 ნიმუში. მნიშვნელოვანია, რომ დარღვევა ამ კუთხით არ გამოვლენილა.



რძის ტექნიკური რეგლამენტი 2015 წლის აგვისტოში ამოქმედდა, 2017 წლის 1 ივლისს კი ძალაში შევიდა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, დასახელება „ყველი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ რძისგან დამზადებულ პროდუქტს.“ სხვა შემთხვევაში, მაგ. რძის ფხვნილის გამოყენებისას ეტიკეტზე ტერმინი „ყველის მითითება დაუშვებელია.

ცვლილებები შეეხო ასევე „შემცირებული ცხიმშემცველობის“ მქონე კარაქის განმარტებას. აღნიშნული დასახელების გამოყენება შესაძლებელია კარაქზე, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 39%-ს და არაუმეტეს 79% – ს შეადგენს.

დაუშვებელია ეტიკეტზე ტერმინი – „კარაქის“ გამოყენება, მათ შორის, ბიზნესოპერატორის საფირმო დასახელებაში, თუ პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებულია მცენარეული ცხიმი ან სხვა ცხიმი, გარდა რძის ცხიმისა.

რძის ტექნიკური რეგლამენტი იცავს როგორც მომხმარებლის უფლებას, ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი ბაზრის გაჯანსაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

## „თბილისის მერიაში შრომის ანაზღაურება არ გაზრდილა და არც 2018 წელს გაიზრდება“




თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის განცხადებით, მერიაში შრომის ანაზღაურება არ გაზრდილა და არც 2018 წელს გაიზრდება.

როგორც ხმალაძე აცხადებს, შრომის ანაზღაურება მერიაში 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს ნაკლებია.

– შრომის ანაზღაურება უფრო ნაკლებია, ვიდრე 2017 წელს იყო. 1-ელი იანვრიდან ძალაში შევიდა „შრომის ანაზღაურების შესახებ“ ახალი კანონი, რომლითაც სახელფასო რეფორმა განხორციელდა. თუ აქამდე მოხელეები ორი კატეგორიის ხელფასს იღებდნენ, ეს იყო თანამდებობრივი სარგო და დანამატი, ახლა მოხდა ამ ორი კომპონენტის გაერთიანება, რაოდენობაში ცვლილების გარეშე. იქნება თანამდებობრივი სარგო, სადაც ერთიანდება დანამატიც. პოლიტიკური თანამდებობის პირებზე დანამატის გაცემა საერთოდ აიკრძალა და პრემიის ოდენობა ჩაიკეტა, წლიურად 5%-ის ოდენობით, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში. ის პრაქტიკა, რომელიც აქამდე იყო, ყოველთვიურად დანამატის გაცემა, აღარ იქნება, – განაცხადა ხმალაძემ.

# ვასო ურუშაძე: „ტვირთბრუნვა კიდევ უფრო შემცირდება“

საქართველოს დერეფანში ტვირთბრუნვა კვლავ შემცირებულია. 2017 წლის 11 თვეში სატრანსპორტო დარგებმა ჯამში 37,4 მლნ ტონა ტვირთი გადაზიდეს, რაც 0,9 მლნ ტონით ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საზღვაო ნავსადგურებმა და საზღვაო ტერმინალებმა საანგარიშო პერიოდში ჯამში 14,9 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე 1,2 მლნ ტონით ნაკლებია.



სატრანსპორტო პოლიტიკის ხარვეზებზე სფეროს წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო უნდა გააქტიურდეს, რათა სფერო მეტად ეფექტური გახდეს. ამასთან, სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი ინიციატივით გამოდის, რომ საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს. მათი განცხადებით, კარგი იქნება, თუ „ტრანზიტის ხელშეწყობის კანონი“ შემუშავდება, რათა პრობლემების აღმოფხვრა მოხდეს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია კი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ტრანზიტის ხელშეწყობის კანონის მიღებამდე სპეციალური კვლევა ჩატარდება.

როგორც ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე პლატფორმა HUB Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ტვირთების შემცირების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

– თუ მდგომარეობა და ხელისუფლების დამოკიდებულება არ შეიცვალა, საბოლოო ჯამში, გაკოტრებულ რკინიგზას და ისეთ პრობლემებს მივიღებთ, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დიდი რისკის ქვეშ დააყენებს. ტვირთბრუნვა კიდევ უფრო შემცირდება. ძლიერი სატრანსპორტო სფერო შექმნის ძლიერ სოფლის მეურნეობას, ძლიერ ეკონომიკას, ჯანდაცვის სექტორს, სავაჭრო და ინდუსტრიულ ჰაბს. ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა, – აცხადებს ურუშაძე.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა ის არის, რომ სახელმწიფოს ხედვა არ აქვს, სიტუაცია როგორ გამოსწორდეს.

– ხუთი წელია ტვირთბრუნვის შემცირებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რადგანაც ქვეყანას დიდი პრობლემები აქვს, როგორც შიდა პოლიტიკის დონეზე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების მხრივაც. სახელმწიფოს არ აქვს ხედვა, როგორ უნდა განვითარდეს სატრანსპორტო სისტემა და რეგიონულ სატრანსპორტო ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბდეს. პრობლემის მოგვარება შეუძლებელია იმ დამოკიდებულებით, რომელიც სახელმწიფოს დღეს დარგის მიმართ გააჩნია, – აღნიშნავს ვასო ურუშაძე.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც სამინისტროების ოპტიმიზაცია მოხდა, ეს სატრანსპორტო სფეროსთვის უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება.

– გვქონდა შეხვედრა პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის წევრებთან. ჩვენს ორგანიზაციას პრეზენტაციაც ჰქონდა. შევთავაზეთ, რომ პირველ ეტაპზე პრობლემა გადაიჭრას პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეცვლით, სხვა სამინისტროების ოპტიმიზაციით. ეკონომიკის სამინისტრო პასუხს აგებს ტრანსპორტის პოლიტიკაზე. იქ არის ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი. თუმცა მას შემდეგ, რაც ენერგეტიკის სამინისტრო შეუერთდა, დეპარტამენტების და სააგენტოების ნაწილი გაიზარდა. ვფიქრობ, რომ ამით სამინისტრო არაეფექტური გახდა და ტრანსპორტის პოლიტიკა ადრე თუ მეათეხარისხოვანი იყო, ახლა პრიორიტეტებს მიღმა დარჩება, – აცხადებს ურუშაძე.

მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ ინფრასტრუქტურის სამინისტროს სატრანსპორტო უწყებები შეუერთდება და ერთ სამინისტროდ ჩამოყალიბდება:

– ინფრასტრუქტურის სამინისტრო იმდენად დატვირთული არ არის, როგორც ეკონომიკის სამინისტრო. ბევრი მნიშვნელოვანი დეპარტამენტია, რომელიც ტრანსპორტთან არის დაკავშირებული. მარტივად შესაძლებელია, მოხდეს ოპტიმიზაცია და ეკონომიკის სამინისტროდან სატრანსპორტის უწყებები ინფრასტრუქტურაში გადავიდეს, – აღნიშნავს ვასო ურუშაძე.

რაც შეეხება საკანონმდებლო ინიციატივას, მისი თქმით, მსგავსი კანონის მიღება აუცილებელია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი მისი აღსრულება იქნება:

– ასეთი კანონი არაერთ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ თუ მას აღმასრულებელი ორგანო არ ეყოლება, კანონი კანონად დარჩება. პასუხისმგებელი უწყება საჭიროა, რომელიც ყველა ნორმის შესრულებას გააკონტროლებს, – აცხადებს ურუშაძე.

## ზედმეტად გადახდილი დღგ-ს გამარტივებულად დაბრუნება ორშაბათიდან დაიწყება



ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამარტივებულად დაბრუნება 15 იანვრიდან დაიწყება.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, გადაწყვეტილება მიღებულია, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შექმნისთვის დაახლოებით 2 კვარტალია საჭირო და ამის შემდეგად მის სრულფასოვან ამოქმედებასაც დრო სჭირდება.

რეფორმის განხორციელება სისტემის შექმნის პარალელურად იწყება. დღგ-ს ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების სისტემის სრულფასოვანად ამოქმედების შემდეგ კი, ბიზნესს ბიუროკრატიასთან შეხება აღარ ექნება.

ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანია ბიზნესმა მყისიერად იგრძნოს ამ რეფორმით გამოწვეული უპირატესობები და დადებითი შედეგები, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ ბრიფინგზე.

მინისტრის თქმით, დღგ-ს გადამხდელი ის კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა ძირითად კრიტერიუმს, ფინანსთა სამინისტრო სთავაზობს 5-დღიან ვადაში დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნებას. ხოლო ის კომპანიები, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო დრო სჭირდებათ დააკმაყოფილონ კრიტერიუმები, სამინისტრო სთავაზობს 14- დღიან ვადაში დაუბრუნოს ზედმეტობა.

## კახა კალაძემ გენგეგმის ჯგუფს ვადა დღის ბოლომდე მისცა



– გენგეგმის მიღება თბილისისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ გეგმის ავტორებს კიდევ ერთხელ ვაძლევთ შესაძლებლობას, საკუთარი რესურსების გათვალისწინებით დღის ბოლომდე წარმოადგინონ გონივრული ვადა და წინადადება, თუ როგორ და რა ვადებში შეძლებენ ამ დოკუმენტის სრულყოფას. ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლება დაპირდა თბილისის მოსახლეობას, რომ შემუშავდებოდა თბილისის მიწათსარგებლობის ისეთი გენერალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის მდგრად განვითარებას. ამიტომ მერის განცხადებით, გენგეგმა უნდა იყოს სრულყოფილი.

– გენგეგმის შესამუშავებლად არქიტექტურის სამსახურსა და „სითი ინსტიტუტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულია ძალიან დიდი სამუშაოები. კონტრაქტორ კომპანიას ჩვენს შენიშვნებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ვაცნობეთ, თუმცა მე-6 დასკვნითი დოკუმენტი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს. ვაცნობიერებთ რა გენგეგმის მნიშვნელობას, ვერ მივცემთ თავს ნებას, მივიღოთ არასრული დოკუმენტი. ხელშეკრულების მიხედვით კი დღეს იწურება ვადა, მიიღებს თუ არა მერია „სითი ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებულ გენერალურ გეგმას. ამიტომ ამ ორგანიზაციას დღის ბოლომდე ვაძლევთ ვადას, რომ წარმოადგინონ გონივრული წინადადებები, – განაცხადა კალაძემ.

## 2017 წელს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 33%-ით გაიზარდა

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 2017 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 30%-ით მოიმატა და 954.397 შეადგინა.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა, ხოლო ქართველების – 28%-ით. ვიზიტორთა 57% ქართველი, 43% კი უცხოელია.

ყველაზე პოპულარული ტერიტორიების ტოპ 5-ეული ასე გამოიყურება:

– პრომეთეს მღვიმე – 163.941
– მარტვილის კანიონი – 147.374
– ყაზბეგის ეროვნული პარკი – 154.085
– სათაფლია – 85.526
– ოკაცეს კანიონი – 73.113

ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:

– მაჭახელას ეროვნული პარკი – ზრდა 147%
– მარტვილის კანიონი – ზრდა 136%
– ალგეთის ეროვნული პარკი – ზრდა 74%
– თბილისის ეროვნული პარკი – ზრდა 47%
– მტირალას ეროვნული პარკი – ზრდა – 41%
– ოკაცეს კანიონი – ზრდა – 40%
– პრომეთეს მღვიმე – ზრდა – 19%

2017 წელს, დაცულ ტერიტორიებს ვიზიტორები მსოფლიოს 97 ქვეყნიდან ესტუმრნენ, მათგან ყველაზე მეტი ვიზიტორი დაფიქსირდა გერმანიიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. წელს ვიზიტორთა რაოდენობა განსაკუთრებით, 203%-ით გაიზარდა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, 64%-ით ინდოეთიდან, 63%-ით ლატვიიდან, 48%-ით ლიტვადან და რუსეთიდან. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს პირველად ესტუმრნენ ვიზიტორები ლიბანიდან, ლიბიიდან, ტაჯიკეთიდან, იემენიდან, ტუნისიდან, სამხრეთ სუდანიდან და ნეპალიდან.

20 ადმინისტრაციიდან მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში შეადგენს 86.542.878 ლარს, რაც მოიცავს როგორც ეკოტურისტული სერვისების, ისე ადგილობრივი ბიზნესის შემოსავლებს. კვლევა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაკვეთით, პროექტის „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო“ ფარგლებში გერმანელმა ექსპერტმა ყაზბეგის, ლაგოდეხის, მარტვილის, მტირალას და პრომეთეს დაცულ ტერიტორიებზე ჩაატარა. კვლევა ეფუძნება საქსტატისგან, ვიზიტორებისა და ადგილობრივი ტურისტული სერვისების მიმწოდებლებისგან მიღებულ ინფორმაციას.

## თბილისის გენგეგმის ავტორები დედაქალაქის მერს პასუხობენ

თბილისის გენგეგმის ავტორები უცხოელ პარტნიორებთან კონსულტაციებს გეგმავენ, რის შემდეგაც მერიას სავარაუდოდ 1-თვიან ვადას მოსთხოვენ, რა დროშიც „სითი ინსტიტუტი“ დეტალურად აღწერს იმ ხარვეზებს, რაზეც თბილისის მერია საუბრობს. ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედს“ „სითი ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა მერაბ ბოლქვაძემ განუცხადა.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიწათსარგებლობის გეგმას კანონმდებლობით რაც მოეთხოვება, ყველა ეს მასალა წარდგენილია კვალიფიციურად და ყველა ზომის სახეობებზე არის განმარტება და არქიტექტურის სამსახურს შეუძლია ეს დოკუმენტი გამოიყენოს. რადგან მერიას აქვს კიდევ სურვილი, დარგობრივი მიმართულებით შეივსოს – ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის. თუ არის რაიმე საკითხი, რაც შესაძლოა, უფრო სრულყოფილი გახდეს, ამასთან დაკავშირებით მერიას მივაწვდით ინფორმაციას. ვადებზე ჩვენ უცხოელ პარტნიორებს გავესაუბრებით და მათთან ერთად დავაზუსტებთ, სავარაუდოდ, ეს იქნება 1 თვე, – განაცხადა მერაბ ბოლქვაძემ.




– აქ საუბარია, რომ მერიას სჭირდება მეტი დასაბუთება გარკვეულ ადგილებზე და ზონებზე, ეს არის ძალიან გასაგები და მისაღები, რომ ჩვენ ეს ყველაფერი მივიყვანოთ საბოლოო სახემდე. ამას შესაძლოა, დასჭირდეს 2 კვირა, შესაძლოა, დასჭირდეს 1 თვე ან 2 თვე, – განაცხადა „სითი ინსტიტუტის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა სალუქვაძემ.

შეგახსენებთ, კახა კალაძემ გენგეგმის ჯგუფს ვადა დღის ბოლომდე მისცა.

– გენგეგმის შესამუშავებლად არქიტექტურის სამსახურსა და „სითი ინსტიტუტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულია ძალიან დიდი სამუშაოები. კონტრაქტორ კომპანიას ჩვენს შენიშვნებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ვაცნობეთ, თუმცა მე-6 დასკვნითი დოკუმენტი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს. ვაცნობიერებთ რა გენგეგმის მნიშვნელობას, ვერ მივცემთ თავს ნებას, მივიღოთ არასრული დოკუმენტი. ხელშეკრულების მიხედვით კი დღეს იწურება ვადა, მიიღებს თუ არა მერია „სითი ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებულ გენერალურ გეგმას. ამიტომ ამ ორგანიზაციას დღის ბოლომდე ვაძლევთ ვადას, რომ წარმოადგინონ გონივრული წინადადებები, – განაცხადა კალაძემ.

თბილისის გენგეგმაზე მუშაობა 2015 წელს დაიწყო, კონკურსში „სითი ინსტიტუტმა“ გაიმარჯვა და 2 მილიონი ლარი გადაერიცხა, თუმცა ბიუჯეტიდან გენგეგმისთვის 2 მილიონ 800 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. 800 ათასი ლარი მერიამ კომპანიას არ გადაურიცხა, რადგან დასკვნით ეტაპზე დედაქალაქის მთავრობამ დოკუმენტი არ მოიწონა.

# „თითოეული ადამიანი საკუთარი საქმეებით უნდა ადასტურებდეს თავის წოდებას“ (ბასილი დიდი)



ვულოცავთ სრულიად საქართველოს მართლმორწმუნე ერს და ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ბრწყინვალე დღესასწაულს შობას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და დამდეგ ახალ 2018 წელს.

ადამიანი ღმრთის ქმნილებათაგან უდიდესი და გამორჩეული ფენომენია, ხატად მისა დაბადებული და იმდენად ძვირფასი უფლისათვის, რომ თავის სამოთხეში ჰყავდა დამკვიდრებული. მამაზეციერმა მოგვმადლა სმენა სარწმუნოებისად, ხედვად ღვთის სათნოდ აღსრულებულ საქმეთა, სვლად გზათა მცნებათა მისთასა. ღმრთის მოშიში ადამიანი მოიაზრება ძეგლად სათნოებისა, სიკეთეთ მჭევმეტყველებისა შეზავებულს კეთილ საქმეთაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ვერ დაიმკვიდრებს საუკუნო ცხოვრებას.

წმინდა ეფრემ ასური ბრძანებს: „ადგილსამყოფელი კი არ აცხოვნებს კაცს, არამედ კეთილი ნება.... ჩვენი პირველმშობელი სამოთხეშიც დაეცა ცოდვით, მართალმა ლოთმა კი სოდომშიც შეინარჩუნა კეთილმსახურება“. ღვთის მსახურს კი, რომელმაც აირჩია უფლის გზა, მეტად მკაცრად მოეთხოვება ყოველივე.

თქვენ, მამა ბასილ, ამაგდარო მოძღვარო, ფუტკარივით მოფუსფუსევ, სწორედ თქვენში დევს ჩამოთვლილი ღვთის სათნო თვისებები. თქვენ ბრძანდებით ეტალონი, მისაბაძი კეთილმსახურებისა. „უფალთან სიახლოვე ღვთის ნების გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება“, – გვასწავლის ბასილი დიდი.

„საკმარისი არ არის თვით ღმერთს წარუდგებოდეთ წრფელი აღსარებითა და ცოდუათა მონანიებით – აუცილებელია იმასაც ვაბარებდეთ აღსარებას, ვისაც თვით ღმერთისგან მიუღია ხელმწიფება აღსარების მიღებისა და ცოდვათა მოტევების (ნეტარი ავგუსტინი).

თითოეულმა ჩვენგანმა მრავალრიცხოვანი მრევლის სახით ჩვენი სული ვანდეთ მოძღვარს, რომელსაც სწორედ უზენაესისგან მიემადლა წყალობა, კურთხევა, ჭეშმარიტად მწყსა ცხოვართა. ვანდეთ სული მოძღვარს, რომელიც მაგალითია სიმდაბლისა, მორჩილებისა, სიმართლისა, ღვთის ერთგულებით გაჯერებული. განსაკუთრებით ეს მკაფიოდ იკვეთება დღევანდელი არასახარბიელო რეალობის ფონზე; გარკვეულ სასულიერო პირთა უმსგავსო საქციელი, ერი ღირსებაშელახული, მრევლი დაბრკოლებული...

მამა ბასილ, ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენი სულიერი შვილები ვართ. ჩვენ გვეამაყება, რომ თქვენ უკან მიხედვის არ გეშინიათ, თამამად უსწორებთ თვალებს თქვენს უმწიკვლო წარსულს, მრავლისმთქმელ აწმყოსა და მომავალს, ღირსეული მიზნებით გაჯერებულს, გვეამაყება, რომ თქვენ, მიწიერ ცხოვრებაზე შეუბღალავი, ღირსეული ცხოვრების წესიდან გამომდინარე მოიპოვეთ ღვთის უსაზღვრო შემწეობა და ყოვლადწმიდა დედის თანადგომა. თქვენ უზენაესი გიგზავნით უსაზღვრო მადლს, რომელსაც უწილადებთ ყველას, უფლის კარზე საცხოვნებლად მოსულთ.

მამა ბასილ, თქვენს შემართებას, შრომის სიყვარულს ვერარა დააკლო მხცოვანებამ, რამეთუ კვლავ რჩეული რეჟიმით, მონდომებით ერკინებით ღვთის სათნო საქმეს. მიზანს ყოველთვის აღწევთ. სწორედ თქვენ მოგესადაგებათ სიტყვები: „რომელსა იგი ვიტყოდე, საქმით აღვასრულებდე, ვითარ წერილ არს, ვითარმედ, რომელმან ჰყოს და ასწაოს, ამას დიდი ეწოდოს სასუფეველსა ცათასა“. სწორედ თქვენ შეაძლებინეთ ეკლესიის მსახურთ, მორჩილების იმ სულიერი სავანის შექმნა, რომელიც ამაყად, ცად მიბრჯენილი დგას გლდანის ა/მ რაიონში. თქვენ აზიარეთ მორჩილები ცხოვრებისეულ პროფესიონალიზმს; მაშინ, როცა აშენებდით, როცა ამშვენებდით ტაძრის ეზოს, მის შემოგარენს და, რაც მთავარია, შეაძლებინეთ ურთულესი საქმე – ტაძრის მოპირკეთება. ჩვენ, თვალით მხილველნი ამ საოცრებისა, თითქოს ვერ ვიჯერებთ, რომ მრევლის შემოწირულობით, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით მორჩილებთან ერთად შეიმოსა გრანდიოზული ტაძარი ძვირფასი ქვით, ულამაზესი, ურთულესი ორნამენტებით, რომელიც თქვენი კომპოზიციით არის შექმნილი.

„ჭეშმარიტად ბრძენთა ბრძენია არა ის, ვინც სიტყვით ასწავლის, არამედ ის, ვინც კეთილი საქმით შთააგონებს (წმ. ისააკ ასური).

თქვენი თითოეული ქადაგების დროს სიღრმისეულად ვაცნობიერებთ უფლისადმი თქვენს უზადო სიყვარულს, მორჩილებას, თავდადებას. თქვენ გვასწავლით სიმდაბლეს, სინანულს, რათა ვებრძოლოთ იმ ცოდვებს, რომელსაც ყოველდღიურად მივეახლებით ამ წუთისოფელში. ჩვენი უმეცრებით ბევრჯერ გატკენთ გულს, შეგვინდეთ, მამაო.

თქვენ მაშინ ებრძოდით მსოფლიო სატანიზმს პირწავარდნილი სოროსისა და ძმათა მისთა სახით, როცა დუმდა ერი, ბერი. მამაო, თქვენ წინააღმდეგობებით სავსე მოწამეობრივი ცხოვრებით განვლეთ პატარა გოლგოთა.

„ადამიანის სულიერი ზრდის საზომი მისი სიმდაბლეა, ცხონება კი ღმრთის ჯილდოა“, ამიტომ ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე მოვალე არს ღვთივბოძებული მიწიერი ცხოვრების ყოველი განვლილი დღის ბოლოს უთქმილეს თავის თავს, თუ რა ქველის საქმე ჰყო ამა დღეს, ან რა შესცოდა მუნ, მერმის სინანულით შეუერთდეს უფალს, ყოვლადწმიდა დედას შინაგანი აღსარებით, ტაძრისკენ მიმავალ ეკლიან გზაზე ვიდოდეს თავმდაბლობით, მოთმინებით, განერიდებოდეს განდიდებას. ამიტომაც არის, რომ სისტემატურად მიეახლებით მშობლიურ სოფელში თქვენივე აღდგენილ ღვთისმშობლის ტაძარს და ყოვლადწმიდა დედას აბარებთ ანგარიშს.

უანგარო, უძილო, სარწმუნოებისა და ერისათვის დამაშვრალო მოძღვარო, დღეს ვალმოხდილი, პირნათელი დგახართ ღმრთისა და ერის წინაშე ჭაღარაშერეული და, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ხელს არ გიწყობთ, კვლავ მზად ხართ, ყოველივე გაიღოთ სარწმუნოების გადასარჩენად, ერის ინტერესებისა და ტრადიციების დაცვისათვის.

მამა ბასილ! გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს – შობას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, დამდეგ ახალ 2018 წელს, ხსენებას უდიდეს მამის ბასილი დიდისა და თქვენი დაბადებიდან 72-ე წლისთავს. ჯანმრთელობას გისურვებთ, დიდხანს სიცოცხლეს. გვჯერა, რომ კვლავ დიდხანს ემსახურებით უზენაესს, ყოვლადწმიდა დედას, კვლავ ერთგული და მკაცრი დამცველი იქნებით ღვთის მცნებების.

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის**
**მოძღვარი მამა ვახტანგი (მარგიანი), მადლიერი**
**მრავალრიცხოვანი მრევლი**

# გიორგი სუხიტაშვილი: „გთხოვთ დამეხმაროთ სამართლებრივი გზის „პოვნაში“




მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი იურისტებს თხოვნით მიმართავს და სამართლებრივი გზის პოვნას სთხოვს:

– ჩემო მეგობრებო, განსაკუთრებით იურისტებო, თქვენი აზრი და რჩევა მჭირდება.

მოკლედ, წლისა და სამი თვის წინ თანამშრომლობა შევწყვიტეთ მე და ჩემმა ძმამ კონკრეტულ კლუბთან, ლოკა ლაუნჯთან. ჩემი მეგობარი მიგზავნის ამ ფოტოებს ახალ განცხადებებში და რეკლამებში ვფიგურირებთ მეც და ჩემი ძმაც ფოტოს სახით. საერთოდ არ მსიამოვნებს ის, რომ მე სადაც არ ვმუშაობ, ის ობიექტი რეკლამისთვის იყენებდეს იმ ფოტოებს, რომელიც ჩემი იქ მუშაობის დროსაა მათივე ფოტოგრაფის მიერ გადაღებული...

ეს პირველი შემთხვევა არ არის. წამოსვლიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც განათავსეს და არგუმენტად მოაქვთ, ეს ჩვენი გადაღებული ფოტოებიაო...

მე ვმუშაობ სხვაგან, სადაც ხელშეკრულება მაქვს და რეალურად ჩემიც და ჩემი სამსახურის ინტერესებიც ზიანდება...

გთხოვთ დამეხმაროთ იმ სამართლებრივი გზის პოვნაში, რაც ასეთ თავგასულობას დაასრულებს.

# შოთა იათაშვილის გადაცემა „„ბიბლიოთეკა“ დაიხურა



პოეტ შოთა იათაშვილის გადაცემა „ბიბლიოთეკა“ დაიხურა. 3 წლის განმავლობაში გადაცემის მეშვეობით მისმა წამყვანმა 150 წიგნის გარჩევა მოასწრო.

შოთა იათაშვილი:

– ვაჰ, ნუ შფოთავთ, რა! მართლა კაი იყო! ძალიან გადაქანცული ვიყავი, ველარ ვქაჩავდი. რამდენი ხანი ერთი სტრიქონიც არ მქონდა დაწერილი ჩემი. შეიცვალა რადიოში მთლიანად ფორმატი. ზემოდანაა ეგ სტრატეგია ნაკარნახევი. „თვალი ჭამს და თვალი სვამსო“. ვიდეოზე ხდება გადასვლა. ახალ დროებას უნდა აუწყოთ ფეხიო. ჰოდა, დაიხურა „ბიბლიოთეკა“.

150 წიგნი გავარჩიე 3 წელიწადში. ამდენიც აღარ შეიძლება. დავისვენებ ახლა ცოტა ხანი. ნუ, ბოლომდე ვერა, სხვა საქმეებიც მაქვს, კი იცით. ბოლომდე ისე ჩემმა მტერმა დაისვენოს. ცოტა ჩემს მწერლობასაც მივხედო იქნებ, თუ რამეში კიდევ ვვარგივარ, გამოჩნდება. ის საყვარელი ოფისი და ის საყვარელი ხალხი როცა მომენატრება, ავუვლი ხოლმე, სახლთან ყურის ძირში არიან. მოკლედ, კარგადაა ყველაფერი. მაღალმა ღმერთმა ყველაფერი სწორად იცის.

# უშგულში უსახური შენობები შენდება

უშგული იუნესკოს ძეგლია, თუმცა ეს ხელს არ უშლის ზოგიერთს, რომ უსახური შენობები წამოჭიმოს და საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის იერსახე სამუდამოდ დაამახინჯოს.

მოქანდაკე ირაკლი ჟვანია უშგულში გადაღებულ ფოტოებს ავრცელებს და წუხს, რომ სვანეთში უნებართვო, უპროექტო და უკანონო მშენებლობები მომრავლდა:

– ეს ხდება უშგულში. დაემსგავსა აქაურობაც ბაკურიანსა და ქობულეთს. უშგული არის იუნესკოს ძეგლი. ორი წელია შენობის პროექტს ვათანხმებ ძეგლთა დაცვის სააგენტოში, მესამე ვარიანტი დავამუშავეთ ძალიან ფრთხილად, დეტალური კვლევით, მასალების მოძიებით, ტრადიციული არქიტექტურის შესწავლით, მივედით მისაღებ ეტაპზე და ახლა იუნესკოში ვგზავნი შეფასებისთვის.



ადგილობრივ დამკვეთსაც უნდა, რომ ააშენოს კულტურული მემკვიდრეობის მიხედვით, სახელმწიფო და საერთაშორისო კანონის დაცვით, ადგილის, ისტორიისა და მომავლის პატივისცემით.

ასეთი არის ერთი ან ორი. დანარჩენი გამგეობის დონის ნებართვასაც არ თვლის საჭიროდ და ეს ყველაფერი უპროექტო, უნებართვო და უკანონოა იქ, სადაც წინაპრებმა ლამარია, კოშკები, მაჩუბები და მსოფლიო მემკვიდრეობა დატოვეს. გამკითხავიც არავინ არის სახელმწიფოს მხრიდან, ყური რომ შეიბერტყოს და პასუხი მოჰკითხოს.

სადღეგრძელოები, იცოცხლე, ისმება. აი, ეს ვართ. აი, ეს მოსდის ღარიბი ეკონომიკის სუსტ სახელმწიფოს ანგარებიანი და უკულტურო საზოგადოებით, რომელიც არაფერს დაგიდევს, ოღონდ ქართულ ლუდში ტურისტს ოთხი ლარი გადაახდევინოს და ლამარიას ხედზე ბლოკის ჯოჯო და კოკა კოლას ქოლგები ჩათხაროს.

ალბათ მალე ამასაც ამოგვიგდებენ იუნესკოდან ბაგრატის მერე, არც აღარავის ენდომება აქ ჩამოსვლა და დარჩება თაობებს ბაზრის დარეგულირებული მემკვიდრეობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ზიგმარ გაბრიელი დამატებითი ანტირუსული სანქციების დაწესების წინააღმდეგია



რუსეთსა და უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე გაიზარდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ თუ დონბასში მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, რუსეთის მიმართ დამატებით სანქციებს შემოიღებენ. ამან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელი შეაშფოთა.

— ამერიკელთა განზრახვა, შემოიღონ რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციები, უაღრესად შემაშფოთებელია! ეს ევროპისა და გერმანიის ინტერესებს ლახავს, — თქვა გაბრიელმა.

მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ მნიშვნელობას, რომელსაც გერმანელები პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს ანიჭებენ. რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებით ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

— გერმანიას ეს კოლოსალურ ზარალს მიაყენებს, — ამბობს გაბრიელი.

მინისტრმა ვითარების დარეგულირების თავისი სქემა წარმოადგინა. მან პოზიტიურად შეაფასა რუსეთის ხელმძღვანელობის განცხადება, რომ კრემლი მზადაა, დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების განთავსებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყოს. ამავე დროს, გაბრიელმა აღნიშნა, რომ დონბასში არანაკლებ 50.000 ცისფერჩაფხუტიანის განთავსება იქნება აუცილებელი.

— გერმანია მზადაა, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს. ეს თანაბრად შეეხება როგორც დონბასში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნას, ასევე სამშვიდობო მისიის დაფინანსებასაც, — ამბობს გაბრიელი.

მინისტრმა გამორიცხა სამშვიდობო მისიაში რუსეთის მონაწილეობა, ასევე მხარი დაუჭირა იმას, რომ ცისფერჩაფხუტიანები დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის საზღვარზე, უნდა განთავსდნენ. პარალელურად გაბრიელმა განაცხადა, რომ თუ მოსკოვი ამ ფორმით სამშვიდობოების განლაგებას დაჰყაბულდა, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები მკვეთრად უნდა შესუსტდეს, შემდეგ კი თანდათანობით გაუქმდეს.

— ის, რომ სანქციები უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მინსკის შეთანხმებები ბოლომდე არ შესრულდება, არარეალისტური წინადადებაა! ამით რუსეთს კუთხეში ვამწყვდევთ, რაც ძალიან საშიშია, — თქვა გაბრიელმა.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი აღნიშნავს, რომ რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება გლობალური კონფრონტაციის ფონზე ვითარდება. აშშ-ს თავისი ინტერესები აქვს, გერმანიასა და საფრანგეთს — თავისი. უკრაინამაც საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას.

— ჩვენ მსოფლიო პოლიტიკის ობიექტი უნდა გავხდეთ, ანუ საკუთარი ინტერესები დავიცვათ, — აცხადებს პორტნიკოვი.

# ტრამპმა მაკრონს დაურეკა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის ფრანგ კოლეგა მაკრონს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეისა და ირანის გარშემო შექმნილი ვითარება იყო.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართ პოლიტიკა უნდა გამკაცრდეს. მაკრონმა ამას მხარი დაუჭირა, თუმცა შენიშნა, რომ ირანთან შეთანხმება ბირთვულ საკითხზე არ უნდა გაუქმდეს.

— ჩვენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — თქვა მაკრონმა.

# ერდოღანი ასადმა შეაშფოთა



თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი თავის რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო. ერდოღანმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ასადის არმია განაგრძობს წინსვლას იდლიბის რაიონში, ანუ ტერიტორიაზე, რომელსაც სირიის ზომიერი ოპოზიცია აკონტროლებს.

— მოვითხოვთ, რათა რუსეთმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენოს და აიძულოს ასადი, შეტევა შეაჩეროს, — თქვა ერდოღანმა.

პუტინმა ამაზე მიუგო, რომ რუსულ ბაზებზე ცოტა ხნის წინ დარტყმა განხორციელდა და ეს იდლიბის მხრიდან მოხდა, რომელსაც სირიის ზომიერი ოპოზიცია აკონტროლებს.

— რასაკვირველია, ჩვენ თურქეთს ამაში არ ვადანაშაულებთ, მაგრამ არც ის შეგვიძლია, რომ ასეთ აგრესიას გულხელდაკრეფილნი შევხვდეთ, — მიუგო პუტინმა.

სირიაში კი ბრძოლები გრძელდება. რუსული ავიაცია ბომბავს ქალაქებს, სოფლებს. ინგრევა სახლები, იღუპებიან ადამიანები.

# კადიროვი აშშ-ის წინააღმდეგ



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსახლეობას სპეციალური განცხადებით მიმართა და ურჩია, რუსეთში მგზავრობისაგან თავი შეიკავონ. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, რუსეთი უსაფრთხო ქვეყანა არ არის. იქ მოსალოდნელია ტერაქტები, აშშ-ის მოქალაქეებზე თავდასხმები და ა.შ.

ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს პასუხი გასცა.

— მებრალება ამერიკელი ხალხი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის თამაშების მსხვერპლი გახდა, — აცხადებს კადიროვი.

რუსმა პოლიტოლოგმა რაძიხოვსკიმ განაცხადა, რომ კადიროვი რუსეთის ერთ-ერთი რეგიონის ხელმძღვანელია, მაგრამ თავის თავზე საგარეო პოლიტიკის საკითხებს იღებს, რაც მის კომპეტენციაში ნამდვილად არ შედის.

— კადიროვი ისე იქცევა, თითქოს რუსეთის ვასალი, მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური იყოს და არა — რუსეთის ერთ-ერთი რეგიონის ხელმძღვანელი, — აცხადებს რაძიხოვსკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადება

**2018 წლის 8 თებერვალს, 15.00 საათზე ქ. თბილისში, ირ.აბაშიძის 39, ბინა 5-ში ტარდება სს „ლითონის“ (ს.კ. 212680115) აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2017 წლის წლიური ანგარიში;**
**2. საორგანიზაციო საკითხები;**
**3. სხვადასხვა საკითხები.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 599-613-477.**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროებათანამშრომელიოფისშისამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ევროპა იტალიის გარეშე

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში საახალწლო შესვენების შემდეგ განახლდება ეროვნული ჩემპიონატები. ამ უქმეებზე იტალია ისვენებს. ტური სხვაგანაც მშვიდია, მხოლოდ ინგლისშია ერთი სუპერმატჩი — ლივერპული შინ მანჩესტერ სიტის დაუხვდება.




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.01 ვესტ ბრომვიჩი-ბრაიტონი | 2.05 | 3.0 | 4.2 |
| 13.01 ჩელსი-ლესტერი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 13.01 უოტფორდი-საუთჰემპტონი | 2.4 | 3.3 | 2.9 |
| 13.01 ნიუკასლი-სუონსი | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 13.01 კრ.პალასი-ბარნლი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 13.01 ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი | 2.62 | 3.0 | 2.9 |
| 13.01 ტოტენჰემი-ევერტონი | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 14.01 ბორნმუთი-არსენალი | 4.33 | 4.0 | 1.73 |
| 14.01 ლივერპული-სიტი | 3.1 | 3.6 | 2.2 |
| 15.01 მანჩესტერი-სტოკი | 1.2 | 6.0 | 15.0 |

**ვესტ ბრომვიჩი-ბრაიტონი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ნასერ ჩადლი, სალომონ რონდონი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ჩელსი-ლესტერი**

ჩელსი: ***ტრავმ***-ჩარლი მუსონდა, დავიდ ლუისი

ლესტერი: ***ტრავმ***-დანი სიმპსონი

**უოტფორდი-საუთჰემპტონი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-რობერტო პერეირა, იუნის კაბული, კიკო ფემენია, მიგელ ბრიტოსი, ნათან ჩალობა

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჩარლი ოსტინი, სედრიკ სოარესი

**ნიუკასლი-სუონსი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ალექსანდარ მიტროვიჩი, ისააკ ჰაიდენი, ხესუს გამესი

სუონსი: ***ტრავმ***-ვილფრედ ბონი, კი სუნ-იუნი, ლეონ ბრიტონო, კილი ბარტლი

**კრ.პალასი-ბარნლი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მამადუ სახო, ჯოელ უორდი

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტარკოვსკი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

**ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ელიას კაჩუნგა, ფილიპ ბილინგი, მაიკლ ჰეფელე

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაიკლ ანტონიო, ედმილსონ ფერნანდესი, ხოსე ფონტე

**ტოტენჰემი-ევერტონი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტობი ალდერვეირელდი, ვიქტორ ვანიამა

ევერტონი: ***ტრავმ***-ლეიტონ ბაინესი

**ბორნმუთი-არსენალი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, ჯერმეინ დეფო, ჰარი არტერი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

არსენალი: ***ტრავმ***-ნაჩო მონრეალი, ოლივიე ჟირუ, აარონ რამზი, სანტი კაზორლა

**ლივერპული-სიტი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯორდან ჰენდერსონი, დანიელ სტარიჯი, მარკო გრუჯიჩი, ალბერტო მორენო

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი, ჯონ სტოუნზი, ბენჯამინ მენდი

**მანჩესტერი-სტოკი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მატეო დარმიანი, კრის სმოლინგი, ანტონიო ვალენსია, მარუან ფელაინი, ერიკ ბაილი, მაიკლ კერიკი

სტოკი: ***ტრავმ***-რაიან შოუკროსი, გლენ ჯონსონი, ბრუნო მარტინეს ინდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 22 | 20 | 2 | 0 | 64-13 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 22 | 14 | 5 | 3 | 45-16 | 47 |
| 3.ჩელსი | 22 | 14 | 4 | 4 | 41-16 | 46 |
| 4.ლივერპული | 22 | 12 | 8 | 2 | 50-25 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 22 | 12 | 5 | 5 | 42-21 | 41 |
| 6.არსენალი | 22 | 11 | 6 | 5 | 40-28 | 39 |
| 7.ბარნლი | 22 | 9 | 7 | 6 | 19-19 | 34 |
| 8.ლესტერი | 22 | 8 | 6 | 8 | 34-32 | 30 |
| 9.ევერტონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-34 | 27 |
| 10.უოტფორდი | 22 | 7 | 4 | 11 | 31-40 | 25 |
| 11.ჰადერსფილდი | 22 | 6 | 6 | 10 | 18-35 | 24 |
| 12.ბრაიტონი | 22 | 5 | 8 | 9 | 17-27 | 23 |
| 13.ნიუკასლი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-30 | 22 |
| 14.კრ.პალასი | 22 | 5 | 7 | 10 | 20-33 | 22 |
| 15.ვესტ ჰემი | 22 | 5 | 7 | 10 | 25-40 | 22 |
| 16.ბორნმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 22-34 | 21 |
| 17.საუთჰემპტონი | 22 | 4 | 8 | 10 | 21-32 | 20 |
| 18.სტოკი | 22 | 5 | 5 | 12 | 23-47 | 20 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 2 | 10 | 10 | 16-30 | 16 |
| 20.სუონსი | 22 | 4 | 4 | 14 | 13-34 | 16 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.01 ხირონა-ლას პალმასი | 1.75 | 3.75 | 4.33 |
| 13.01 რეალი-ვილიარეალი | 1.28 | 6.0 | 8.5 |
| 13.01 ეიბარი-ატლეტიკო | 4.2 | 3.25 | 1.95 |
| 13.01 დეპორტივო-ვალენსია | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 14.01 ლევანტე-სელტა | 3.1 | 2.4 | 2.25 |
| 14.01 ალავესი-სევილია | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 14.01 ესპანიოლი-ბილბაო | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 14.01 სოსიედადი-ბარსელონა | 6.5 | 4.6 | 1.44 |
| 15.01 ბეტისი-ლეგანესი | 2.25 | 3.2 | 3.3 |

**ხირონა-ლას პალმასი**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ლას პალმასი: ***ტრავმ***-პედრო ბიგასი, სერჟ სამპიერი, მიჩელი

**რეალი-ვილიარეალი**

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, კარიმ ბენზემა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რამირო გუერა, რობერტო სორიანო, რუბენ სემედო, ნიკოლა სანსონე, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

**ეიბარი-ატლეტიკო**

ეიბარი: ***ტრავმ***-დავი ჯუნკა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

**დეპორტივო-ვალენსია**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლუკასი, ფედერიკო ვალვერდე, ფედე კარტაბია

ვალენსია: ***ტრავმ***-ჯეისონ მურილიო

**ლევანტე-სელტა**

ლევანტე: ***ტრავმ***-ჩემა, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**ალავესი-სევილია**

ალავესი: ***ტრავმ***-კარლოს ვიგარაი, ექტორი

სევილია: ***ტრავმ***-დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

**ესპანიოლი-ბილბაო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ოსკარ დუარტე

ბილბაო: ***ტრავმ***-კეპა არიზაბალაგა, მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუიანი

**სოსიედადი-ბარსელონა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ალბერტო დე ლა ბელა, ადნან იანუზაი

ბარსელონა: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი, სამუელ უმტიტი

**ბეტისი-ლეგანესი**

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

ლეგანესი: ***ტრავმ***-ნორდინ ამრაბატი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 15 | 3 | 0 | 48-7 | 48 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 11 | 6 | 1 | 27-8 | 39 |
| 3.ვალენსია | 18 | 11 | 4 | 3 | 38-18 | 37 |
| 4.რეალი | 17 | 9 | 5 | 3 | 32-16 | 32 |
| 5.სევილია | 18 | 9 | 2 | 7 | 23-27 | 29 |
| 6.ვილიარეალი | 18 | 8 | 4 | 6 | 25-21 | 28 |
| 7.ეიბარი | 18 | 8 | 3 | 7 | 24-30 | 27 |
| 8.ბილბაო | 18 | 6 | 6 | 6 | 20-19 | 24 |
| 9.ლეგანესი | 17 | 7 | 3 | 7 | 13-14 | 24 |
| 10.ბეტისი | 18 | 7 | 3 | 8 | 30-34 | 24 |
| 11.ხეტაფე | 18 | 6 | 5 | 7 | 22-18 | 23 |
| 12.სოსიედადი | 18 | 6 | 5 | 7 | 31-30 | 23 |
| 13.ესპანიოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 15-21 | 23 |
| 14.ხირონა | 18 | 6 | 5 | 7 | 22-28 | 23 |
| 15.სელტა | 18 | 6 | 4 | 8 | 32-27 | 22 |
| 16.ლევანტე | 18 | 3 | 9 | 6 | 15-25 | 18 |
| 17.დეპორტივო | 18 | 4 | 4 | 10 | 20-35 | 16 |
| 18.ალავესი | 18 | 5 | 0 | 13 | 13-27 | 15 |
| 19.მალაგა | 18 | 3 | 2 | 13 | 13-32 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 18 | 3 | 2 | 13 | 14-40 | 11 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.01 აუგსბურგი-ჰამბურგი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 13.01 აინტრახტი-ფრაიბურგი | 1.8 | 3.6 | 4.4 |
| 13.01 ჰანოვერი-მაინცი | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 13.01 ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2.5 | 3.5 | 2.62 |
| 13.01 შტუტგარტი-ჰერტა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 13.01 ლაიპციგი-შალკე | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 14.01 კიოლნი-გლადბახი | 2.9 | 3.6 | 2.3 |
| 14.01 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.44 | 4.75 | 6.5 |

**აუგსბურგი-ჰამბურგი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან მორავეკი, კევინ დანსო, ერიკ ტომი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ბობი ვუდი, ნიკოლაი მიულერი

**აინტრახტი-ფრაიბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ჯონათან დე გუზმანი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ფილიპ ლენჰარტი, მარკ-ოლივერ კემპი, მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხერი

**ჰანოვერი-მაინცი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჯონათასი, ფელიპე

მაინცი: ***ტრავმ***-ჟან-ფილიპ გბამინი, კენან კოდრო, რენე ადლერი, კარიმ ონისივო

**ვერდერი-ჰოფენჰაიმი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ფინ ბარტელსი, მაქსიმილიან ეგეშტეინი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფელიქს პასლაკი

**შტუტგარტი-ჰერტა**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ანასტასიოს დონისი, დანიელ გინსეკი, მაქსიმილიან ციმერმანი

ჰერტა: ***ტრავმ***-კარიმ რეკიკი, მიჩელ ვეიზერი, ვალენტინ სტოკერი, ვლადიმირ დარიდა

**ლაიპციგი-შალკე**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ემილ ფორსბერგი, მარსელ საბიცერი

შალკე: ***ტრავმ***-ლეონ გორეცკა, ნაბილ ბენტალები

**კიოლნი-გლადბახი**

კიოლნი: ***ტრავმ***-კონსტანტინ რაუხი, ლეონარდო ბიტენკურტი, კლაუდიო პიზარო, იუია ოსაკო, დომინიკ მარო, ჯონ კორდობა, სიმონ ზოლერი, მარსელ რიისე, მარკო ჰოგერი, ჯონათას ექტორი

გლადბახი: ***ტრავმ***-კრისტოფ კრამერი, ჯულიო ვილაბლა, ფაბიან ჯონსონი, პატრიკ ჰერმანი, იბრაჰიმ ტრაორე, იონას ჰოფმანი, ლასლო ბენეში

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-გონსალო კასტრო, მაქსიმილიან ფილიპი, მარიო გიოტცე, ლუკაშ პიშჩეკი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 2 | 2 | 37-11 | 41 |
| 2.შალკე | 17 | 8 | 6 | 3 | 28-21 | 30 |
| 3.დორტმუნდი | 17 | 8 | 4 | 5 | 39-24 | 28 |
| 4.ლევერკუზენი | 17 | 7 | 7 | 3 | 34-23 | 28 |
| 5.ლაიპციგი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-25 | 28 |
| 6.გლადბახი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-28 | 28 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 17 | 7 | 5 | 5 | 27-22 | 26 |
| 8.აინტრახტი | 17 | 7 | 5 | 5 | 20-18 | 26 |
| 9.აუგსბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 27-23 | 24 |
| 10.ჰერტა | 17 | 6 | 6 | 5 | 26-25 | 24 |
| 11.ჰანოვერი | 17 | 6 | 5 | 6 | 24-26 | 23 |
| 12.ვოლფსბურგი | 17 | 3 | 10 | 4 | 21-21 | 19 |
| 13.ფრაიბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 17-31 | 19 |
| 14.შტუტგარტი | 17 | 5 | 2 | 10 | 13-21 | 17 |
| 15.მაინცი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-28 | 17 |
| 16.ვერდერი | 17 | 3 | 6 | 8 | 13-20 | 15 |
| 17.ჰამბურგი | 17 | 4 | 3 | 10 | 15-25 | 15 |
| 18.კიოლნი | 17 | 1 | 3 | 13 | 10-32 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.01 რენი-მარსელი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 13.01 დიჟონი-მეცი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 13.01 კაენი-ლილი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 13.01 ნიცა-ამიენი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 13.01 მონპელიე-მონაკო | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 13.01 ტრუა-ბორდო | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 14.01 სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 14.01 ლიონი-ანჟე | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 14.01 ნანტი-პსჟ | 13.0 | 6.0 | 1.22 |

**რენი-მარსელი**

რენი: ***ტრავმ***-სანჯინ პრჩიჩი, ისმაილ სარი

მარსელი: ***ტრავმ***-გრეგუარ სერტიჩი

**დიჟონი-მეცი**

დიჟონი: ***ტრავმ***-ჟულიო ტავარეში, სედრიკ ვარო, ვესლი ლაუტოა

მეცი: ***ტრავმ***-კაფუ, ჟან ჟოფრე, ივან ბალიუ, მილან ბიშევაჩი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

**კაენი-ლილი**

კაენი: ***ტრავმ***-რომან ჟენევო, ისმაელ დიომანდე, ერვე ბაზილე

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**ნიცა-ამიენი**

ნიცა: ***ტრავმ***-არნო ლუსამბა, კრისტოფ ჟალე

ამიენი: ***ტრავმ***-კვენტინ კორნე, გუსუმა ფოფანა

**მონპელიე-მონაკო**

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

მონაკო: ***ტრავმ***-იუარი ტილემანსი, გაბრიელ ბოშილია, სტევან იოვეტიჩი

**ტრუა-ბორდო**

ტრუა: ***ტრავმ***-ტრისტან დინომე

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდრე მენდი, გაეტან ლაბორდე

**სტ.ეტიენი-ტულუზა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ოლე სელნაესი, ლოიკ პერინი, ფლორენტინ პოგბა, რომან ჰამუმა

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯიმი დურმაზი, ფრანსუა მუბანჯე

**ლიონი-ანჟე**

ლიონი: ***ტრავმ***-ბერტრანდ ტრაორე

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**ნანტი-პსჟ**

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

პსჟ: ***ტრავმ***-ადრიან რაბიო, ლავინ კურზავა, ტიაგო სილვა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 16 | 2 | 1 | 58-15 | 50 |
| 2.მონაკო | 19 | 13 | 2 | 4 | 46-19 | 41 |
| 3.ლიონი | 19 | 12 | 5 | 2 | 46-20 | 41 |
| 4.მარსელი | 19 | 11 | 5 | 3 | 38-22 | 38 |
| 5.ნანტი | 19 | 10 | 3 | 6 | 18-18 | 33 |
| 6.ნიცა | 19 | 8 | 3 | 8 | 24-29 | 27 |
| 7.მონპელიე | 19 | 6 | 8 | 5 | 17-13 | 26 |
| 8.გენგამი | 19 | 7 | 5 | 7 | 21-24 | 26 |
| 9.რენი | 19 | 7 | 4 | 8 | 24-26 | 25 |
| 10.დიჟონი | 19 | 7 | 3 | 9 | 28-33 | 24 |
| 11.სტრასბური | 19 | 6 | 6 | 7 | 24-31 | 24 |
| 12.კაენი | 19 | 7 | 3 | 9 | 12-21 | 24 |
| 13.ამიენი | 19 | 6 | 3 | 10 | 16-21 | 21 |
| 14.ტრუა | 19 | 6 | 3 | 10 | 20-27 | 21 |
| 15.ბორდო | 19 | 5 | 5 | 9 | 22-29 | 20 |
| 16.სტ.ეტიენი | 19 | 5 | 5 | 9 | 18-33 | 20 |
| 17.ტულუზა | 19 | 5 | 4 | 10 | 18-27 | 19 |
| 18.ლილი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-30 | 19 |
| 19.ანჟე | 19 | 3 | 9 | 7 | 21-29 | 18 |
| 20.მეცი | 19 | 3 | 2 | 14 | 13-34 | 11 |

# გოგა ბითაძე: „ჩემი სურვილია, ზაზას დონეს მივაღწიო“

სერბული მეგა ბიმაქსი ნბა-ში ტალანტების მთავარი მიმწოდებელი გახდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კიდევ ერთ ტალანტს წელსაც მიაწვდის და ეს გოგა ბითაძეა.

ბევრი გოგას ნბა-ს ვარსკვლავ ნიკოლა იოკიჩის მემკვიდრედ მიიჩნევს, თუმცა საქართველოში მას სულ უფრო ხშირად ზაზა ფაჩულიას ადარებენ. ერთი რამ ცხადია — მას წინ ბრწყინვალე კარიერა აქვს, — წერენ სერბები, სადაც ჩვენებურის მცირე ინტერვიუც გამოქვეყნდა.




გოგა ბითაძე:

— სანამ მეგა ბიმაქსში მოვხვდებოდი, უკვე ვიცოდი ჩემი მომავალი კლუბის შესახებ. ვიცოდი, რომ იქ ახალგაზრდა კალათბურთელებს განვითარების საუკეთესო შანსები აქვთ. ამიტომაც გადავწყვიტე ვითადან კარიერის მეგა ბიმაქსში გაგრძელება.

— ალბათ, თქვენც ნბა-ში თამაშზე ოცნებობთ.

— ცხადია. იქ თამაში ნებისმიერი კალათბურთელის ოცნებაა და არც მე ვარ გამონაკლისი.

— ძალიან კარგად მოერგეთ ადრიატიკის ლიგას, სადაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობს.

— ადრიატიკის ლიგა შესანიშნავი ტურნირია. ბევრი კარგი გუნდი და კალათბურთელია და ტურნირიც ძალიან დაძაბულია.

— დეიან მილოევიჩი უკვე მე-6 წელია, რაც მეგა ბიმაქსს ხელმძღვანელობს. მას დიდი წვლილი მიუძღვის იოკიჩის ძლიერ კალათბურთელად ჩამოყალიბებაში, შემდეგად კი თქვენ მიიჩნევით.

— დეიან მილოევიჩთან მუშაობამ ძალიან ბევრი მომცა. ვგრძნობ, რომ ჩემი თამაში მისი წყალობით ძალიან სწრაფად პროგრესირებს. დარწმუნებული ვარ, ერთად კიდევ უფრო კარგ შედეგსაც მივაღწევთ.

— სერბეთში ცხოვრება როგორ მოგწონთ?

— მიყვარს სერბეთი. აქ ხალხი ძალიან გულთბილია. ყველა მზად არის, დახმარების ხელი გამოგიწოდოს. ეს კი ძალიან მომწონს.

— ზაზა ფაჩულია უკვე 15 წლის განმავლობაში ნბა-ში თამაშობს. ევრობასკეტის შემდეგ მან საქართველოს ნაკრებიდან წასვლა გამოაცხადა, თქვენ კი ნაკრებში თავის გამოჩენის კარგი შანსი მოგეცათ.

— როგორც ზაზას შემცვლელზე ლაპარაკი, ჩემი აზრით, ჯერ ადრეა. ასაკი ჯერ კიდევ არ მიწყობს ხელს. ფაჩულია უმაღლესი დონის კალათბურთელია და ჩემი სურვილია, მივაღწიო ზაზას დონეს. საამისოდ კი ძალიან ბევრი ვარჯიში და მონდომება დამჭირდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# TV პროგრამა

## ორშაბათი 15 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00, 02.36 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.15 მხ/ფ **"მილიონ-გირვანქიანი ბანკნოტი"** (გ.პეკი) 13.38 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 14.10 დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30 დოკ/ფ 16.30, ტ/სერ. **"ტრიუმფი"** 18.30 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00 ტ/სერ. **"ელემენტარული"** 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.15 ტ/სერ. **"ომი და მშვიდობა"** 23.15 მხ/ფ **"რიკი და ფლეში"** (კ.კლაინი) 00.56 მხ/ფ **"რა მოხდა წინა ღამეს"** 03.39 მხ/ფ **"პერსონაჟი"**

06.30 სერ. **"დარჩი ჩემთან"** 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. **"ელიფი"** 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. **"ტყუილი"** 17.45 სერ. **"ცოდვილი"** 18.50, 19.03 სერ. **"დარჩი ჩემთან"** 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. **"დედა"** 23.00 სერ. **"დიდი შესვენება"** 23.30 სერ. **"სიყვარულისთვის"** 1 სერ. 01.00 მხ/ფ **"ტრანზიტი"** 02.40 მხ/ფ **"მომკალი სამჯერ"** 04.40 მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"**

